3328

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 11 აპრილი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 15 (174) ფასი 30 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესია

საინფორმაციო ცნობა

8 აპრილს, საღამოს 8 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესია.

ლოჟებში არიან საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისრები.

სესია გახსნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. დ. კოჩლამაზაშვილმა.

ამხ. ი. დ. კოჩლამაზაშვილმა გამოაქვეყნა იმ საკითხების ნუსხა, რომლებიც შეტანილია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე განსახილველად.

დეპუტატ ნ. ბაიდაშვილის წინადადებით საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1941 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

შეტანილია საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევის შესახებ.

შეტანილია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 120 მუხლის თანახმად.

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 13, 19, 50, 55, 56 და 107 მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე და მეხუთე სესიებს შორის განვლილ პერიოდში და რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

შეტანილია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს V სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი, დეპუტატი კ. ს. ციმაკურიძე.

შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს V სესიამ მოისმინა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ გ. ე. ნარსიას თანამოხსენება დღისწესრიგის პირველ საკითხზე.

ამით დაიხურა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს V სესიის პირველი სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

1941 წლის 9 აპრილის დილისა და საღამოს სხდომის შესახებ.

9 აპრილს, დილით, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. დ. კოჩლამაზაშვილი.

სხდომა იწყება კამათით საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ვ. ი. ხუბაევი (სტალინირის სასოფლო ოლქი), შ. ი. ჭანუყვაძე (ოფურჩხეთის ოლქი, ქუთაისის რაიონი), კ. ვ. პიჭინაძე (ხაბუმეს ოლქი, ჩხოროწყუს რაიონი), გ. ი. კიკნაძე (ნასაკირალის ოლქი, მახარაძის რაიონი), გ. ი. არჯევანიძე (წალვერის ოლქი, ბორჯომის რაიონი), ი. ს. ფრანგულიანი (კუშჩის ოლქი, წალკის რაიონი), ვ. მ. მაზიაშვილი (ზემო-მაჩხაანის ოლქი, სიღნაღის რაიონი), კ. დ. ერისთავი (ქსუის ოლქი, სტალინირის რაიონი), ა. კ. ხრისტიანოვი (ბეშთაშენის ოლქი, წალკის რაიონი), ს. გ. ბაზანდარაშვილი (სასოფლო ოლქი, გორის რაიონი), გ. ქ. კირიაკოვი (ლუქსემბურგის ოლქი, ლუქსემბურგის რაიონი), დ. ა. დავითაძე (მუახევის ოლქი, ხულოს რაიონი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის მეორე სხდომა.

* * *

9 აპრილს, საღამოს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. დ. კოჩლამაზაშვილი.

დღის წესრიგშია გაგრძელება კამათისა საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ვ. ა. ჯიბლაძე (გორდის ოლქი, წულუკიძის რაიონი), გ. ი. ელისაბედაშვილი (ყაზბეგის ოლქი, ყაზბეგის რაიონი), ვ. მ. პაქსაშვილი (მანავის ოლქი, საგარეჯოს რაიონი), გ. ა. ალავიძე (გალის ოლქი, გალის რაიონი), ბ. ვ. გოგუა (ლანჩხუთის ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), ვ. ბ. ჯაბუა (ბერიას ოლქი, მახარაძის რაიონი), ი. ო. მოსაშვილი (სიღნაღის ოლქი, სიღნაღის რაიონი), ი. ი. ლეკიშვილი (კოჯრის ოლქი, თბილისის რაიონი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიის მესამე სხდომა.

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო პლეხანოვის სახელობის კლუბში

პლეხანოვის სახ. კლუბმა 4 აპრილს გამართა სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა მაცაბერიძემ.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბ. ჟღენტი. თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ბეს. ჟღენტმა დაახასიათა ის საზოგადოებრივი ვითარება და ლიტერატურული ატმოსფერა, რომლის გარემოცვაშიც დაიწყო პოეტური მოღვაწეობა გალაქტიონ ტაბიძემ.

რევოლუციის წინა პერიოდის გ. ტაბიძის შემოქმედებაში მკაფიოდ გამოჩნდა ერთგვარი წინააღმდეგობა, ერთგვარი „ქვენაკადი", რომელიც მოასწავებდა პოეტის სწრაფვას სხვა, ახალ ცხოვრებისაკენ, მის სულიერ ნათესაობას მოახლოებულ რევოლუციურ ქარიშხალთან.

შემდეგ მომხსენებელმა განიხილა გ. ტაბიძის შემოქმედება პროლეტარული რევოლუციის წლებში, დაახასიათა მისი „ჯონ რიდი", „ეპოქა", „პაციფიზმი", „პრესა", „ქალაქი წყალქვეშ" და ილაპარაკა იმ დიდ სიძნელეებზე, რომელთა დაძლევის გზითაც აყალიბებდა გ. ტაბიძე ახალი იდეებისა და თემებისათვის ახალ შესაფერ საშუალებებს პოეტურ მეტყველებაში.

უკანასკნელ წლებში, — განაცხადა მომხსენებელმა, — გ. ტაბიძე გამძაფრებულ შემოქმედებითს ბრძოლას აწარმოებს ჩვენი სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა გამოსახვისათვის მაღალ-პოეტურ ფორმებში. იგი მეტად მრავალფეროვანია თავისი თემატიკით და ღრმა აქტუალურობით. გ. ტაბიძემ შექმნა პირველხარისხოვანი ნიმუშები ახალი, სოციალისტური ლირიკისა.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები როდიონ ქორქია და სიმონ წვერავა.

შემდეგ პოეტებმა წაიკითხეს გ. ტაბიძის და საკუთარი ლექსები. სტალინური პრემიის ლაურეატმა, ორდენოსანმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ წაიკითხა გ. ტაბიძის ლექსი „პოეზია უპირველეს ყოვლისა", გ. ქუჩიშვილმა — გ. ტაბიძის და საკუთარი ლექსები, სოლომონ თავაძემ — „მთაწმინდის მთვარე", გ. კაჭახიძემ — საკუთარი ლექსი „თბილისი", მაყვალა მრევლიშვილმა — თავისი ლექსი „არაგვისპირული", ანდრო თევზაძემ—გ. ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსები და ორი საკუთარი ლექსი: „სტალინი" და „რუსთაველი", მუშა პოეტმა შაქრო ნავთლუღელმა — გ. ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსი, სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშამ, ახალგაზრდა პოეტმა გ. ტაბატაძემ — გ. ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსი, ახალგაზრდა პოეტმა გ. ქავთარაძემ — საკუთარი ლექსი „ვაჟა", პოეტებმა ბ. სერებრიაკოვმა და ა. სტეფანემ (კარაპეტიანმა) — გ. ტაბიძის ლექსების საკუთარი თარგმანები: „მშობლიურო ჩემო მიწავ" და „ამოსვლა".

დასასრულ გალაქტიონ ტაბიძემ დიდი შთაგონებით წაიკითხა საკუთარი ლექსები: „ოცი წელი", „მე და ღამე", „მთაწმინდის მთვარე" და „რევოლუციურ საქართველოს", რასაც ოვაციით და აღფრთოვანებით შეხვდა ხალხით გაჭედილი დარბაზი.

ლიტერატურული ნაწილის დამთავრების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა თამარ ჭავჭავაძემ და ვ. გოძიაშვილმა. ტრამვაი-ტროლეიბუსების დირექციასთან არსებულმა მედუდუკეთა გუნდმა შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები და შაირები.

ბესიკი

გიორგი ლეონიძე

თუმცა ბესიკის პოეტური სიტყვა ქართული პოეზიის უძვირფასეს მემკვიდრეობას ეკუთვნის, მაინც ბესიკი ნაკლებად არის შესწავლილი.

თვით ბესიკის ბიოგრაფიაში დღემდის ბევრი რამ არის გამოურკვეველი და მასზე გავრცელებული ლეგენდები ძნელი გასარჩევია რეალურ ფაქტებისგან.

ასეთი ხვედრი დიდ პოეტებს რგებიათ, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სადაც პოეტის რეალური პორტრეტი ხშირად ფანტასტიურ სახეში გადადის.

ასეთი მოვლენა ბესიკის მიმართ, ცხადია, ბუნებრივია.

ჯერ კიდევ თანამედროვეებისაგან იყო ის გამღერთებული, როგორც პოეტების მეტოი **„მელექსეობაში"**, ანუ პოეტების თავი „ცნობილი რუსთველისაებრ ხმატკბილობით". ისიც საგულისხმოა, რომ ბესიკს, როგორც დიდ პოეტს სიცოცხლეშივე ჰყავნდა პანეგირისტები, მეხოტბენი, რომ იგი აღიარებული პოეტი იყო სასახლეში, ფეოდალურ წრეებში და დემოკრატიულ ფენებში, სადაც ის არაჩვეულებრივი სიყვარულით სარგებლობდა.

მთავარი მიზეზი ბესიკის უდიდესი პოპულარობისა, მის ბრწყინვალე პოეტურ ნიჭთან ერთად, მისი მუსიკალური სტიქიაც ყოფილა.

მგოსანი, იმპროვიზატორი, ტკბილი ხმით მომღერალი, დამკვრელი, იგი ჯადოქრად ყოფილა ცნობილი საქართველოს გარედაც. გადმოცემა ამბობს, რომ სპარსეთში ყოფნის დროს ბესიკის სიმღერით აღტაცებულმა ყაენმა მას ბრილიანტებით მოჭედილი საგვარეულო თარი აჩუქაო (გაზ. „ივერია", № 88, 1898).

ბესიკის პოეტური ძალა უპირველესად მუსიკაშია. მისი პოეზია მუსიკიდან გამოდის, ბესიკი სმენის ოსტატია და ამიტომაც იგი უპირველესად „სამღერალ ლექსების" ავტორია. მან მრავალი შაირი დასწერა „სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა". „გააკეთა სხვათა და სხვათა ხმებთა ზედან სიმღერასა ლექსები", ანუ როგორც უსახელო მგოსანი ამბობს:

„ტურფანი ხმანი,
მრავალ კაზმანი,
აშულთ სახმარნი,
იმანცა გვამცნო გაზაონელმა..."

ბესიკის სახელი პირველხარისხოვანი პოეტის და ბრწყინვალე ფორმის არტისტისა მისი სიკვდილის შემდეგაც შეურყეველი დარჩა და მისი ლიტერატურული მეფობა კარგა ხანს გაგრძელდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც ქართული პოეზიის მპყრობელ ხმად ისევ ბესიკის ხმა გაისმოდა. გაიხსენეთ ამ ეპოქის უამრავი ლექსი, „ბესარიონის ხმაზე" დაწერილი, და ბუნებრივია, რომ ბესიკის ტკბილმა ხმამ დიდხანს შეუძლებელი გახადა სხვა სიმღერის გავლენა საქართველოში.

თვით ნ. ბარათაშვილის დროს, როდესაც მძლავრად გაისმა ახალი პოეტური სიტყვა, ქართველ რომანტიკოსების პლეადას თავისი პოეტური რეპუტაციის დამკვიდრებისათვის უნდა დაეძლია ბესიკის მუსიკალური სიტყვის დიდი გავლენა, მას ჯერ ის დიდი მწვერვალი უნდა აეღო, რომელზედაც ბესიკის ბრწყინვალე შარავანდედი ნათობდა.

ამ შემთხვევაში მშვენიერ საილუსტრაციო ფაქტად შეგვიძლიან დავასახელოთ გიორგი ერისთავის ერთი დავიწყებული ლექსი, სადაც რომანტიკოსი პოეტი გვიამბობს:

„მახსოვს ერთხელა, საღამო ჟამსა,
იყო ყრილობა სახლსა დიდებულს;
ტურფა გვამთა შექნეს ცილობა,
რომ აწინდელთ ჰაბუკთ შორის
არ არის მწერალი: **„ბესიკის ნაცვლად**
ვინ არისო, ვთქვათ მომღერალი?"
. . . .
. . . .
რისთვის და ვისთვის, აწ მითხარით,
ვთქვა მე სიმღერა,
ვინ მოისმინოს ჩემის სულის სიმისა
ბგერა?"

ამ ლექსში ერთი მომენტი კიდევ არის საინტერესო. სახელდობრ ის, რომ მაშინდელი ქართველი საზოგადოებრიობა ბესიკში აფასებდა მუსიკალურ ამღერებას, მომღერალ ხმას.

„ბესიკის ნაცვლად, ვინ არისო, ვთქვათ
მომღერალი?"

საგულისხმოა მეორე დოკუმენტიც, სადაც იგივე საზოგადოება დიდ სიყვარულს გამოსთქვამს სწორედ ბესიკის ტკბილ ხმისადმი.

1840-იანი წლების განუხორციელებელი ჟურნალის „სინათლის" გამომცემელნი, აღნიშნავდნენ რა თავიანთ განცხადებაში სწავლისა და ხელოვნების დაცემას საქართველოში, ნაღვლიანად კითხულობდნენ:

„აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთელნი, რუსთველნი და პეტრიწნი, სადღა ისმის ტკბილხმოვნება ბესიკისა?"

და ბოლოს ბესიკის ხმის სიტკბოს თვით ჩვენი რომანტიკოსები აღნიშნავდნენ. აღწერს რა საქართველოს ბუნების სილამაზეს, პოეტი ვახტანგ ორბელიანი ერთს ლექსში დასძენს.

„აქა ისმენენ ბესიკისა ხმასა ციურსა".

ამ „ციური ხმებით" საკმაოდ დავალებულია ისეთი დიდი პოეტი, როგორიც იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესიკის დაფნის მემკვიდრე.

დიდი შინაგანი ერთობა და ღრმა კავშირი აქვს ბესიკთან ნიკოლოზ ბარათაშვილს რომანტიული არსით და ინდივიდუალური სწრაფვით.

ბესიკის ხმაში ირანულმა მუზამ მძლავრად დაიმღერა ქართულად, ცხადია, არა პირველად. მაგრამ ბესიკი ძირითადად ძალიან დამოუკიდებელი პოეტია. ბესიკის ეროტიულ ლირიკას ძლიერი თავისებურება და გულწრფელობა ახასიათებს, და ბესიკის მძლავრი პოეტური პათოსი, ტექნიკური სისრულე, ემოციური დაძაბულება და მუსიკალური გამოსახულება უნიკალურად ჰხდიან მის სახელს ქართულ პოეზიაში.

ბესიკის პოეტური სიმდიდრე მრავალფერია და მრავალსახოვანი. მან შეჰქმნა სიყვარულის დიდებული სიმღერები, ელეგიური რომანსები. იგი დიდი ვნების პოეტია, შხამიანი ეპიგრამისტი და სატირიკოსი. მან ყოველდღიური წვრილმანი იუმორი ეპიურ ჟანრში აიყვანა და მოგვცა უკვე ზოგადი ხასიათის რეალისტური სატირული პოემა „რძალდედამთილიანი", რომელიც ბესიკის შემოქმედების პირველ პერიოდს ეკუთვნის. და, მაშასადამე, გურამიშვილის „ქაცვია მწყემსზედ" ადრეა დაწერილი.

ბესიკი იმავე დროს გმირული პათოსის პოეტია. მან შეჰქმნა ახალი ეპიური შედევრები — „ასპინძის ომი", „რუხის ბრძოლა", სადაც შესანიშნავი ბატალური სურათების ოსტატად გვევლინება.

ბესიკმა შეჰქმნა ახალი ქართული ოდა. ბესიკი დახელოვნებული ჰიმნოგრაფია, იგი ქართული ლექსის რეფორმატორია. ბოლოს, მან არაჩვეულებრივად გაამდიდრა ქართული ლექსური სიტყვის კულტურა. შემთხვევით როდია „კალმასობის" ცნობა ბესიკზედ: „მოუთხრობენ ამისთვის, რომელ ჰსცოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული".

ბესიკი ნაწილობრივ არქაისტი პოეტია — მწიგნობარი მესიტყვე, მაგრამ თავის შემოქმედების პირველ პერიოდში იგი ემყარება ხალხური სიტყვის ფუძეს (გაიხსენეთ, „სადის ბაღი", „რძალდედამთილიანი", „ასპინძის ომი", „ანბანთ ქება", „მე მივხვდი მაგ შენსა ბრალებსა", „ბულბული მოდის მწუხარებით" და სხვა).

მის პოეზიაში აღსანიშნავია აგრეთვე ორი სტილობრივი ნაკადი ქართულ-ირანული.

როგორც აღვნიშნეთ, ბესიკის ყოველი ლექსი იმღერებოდა, ბესიკის ყოველი ლექსი იწერებოდა მუსიკალური ინსტრუმენტისთვის. დღეს ბესიკის პოეზიას განშორდნენ თარის სიმები და ეს ლექსები მხოლოდ ლიტერატურაში დარჩნენ.

დღეს ნაკლებად გვესმის ის ხმები და მოტივები, რომლებზედაც ბესიკის ლექსები იწერებოდა და იმღერებოდა.

ჩვენ დაგვრჩა ბესიკის ლექსები უთაროდ, უჭიანუროდ, ამიტომ ბევრი რამ დაჰკარგა ბესიკის პოეზიამ. ბესიკის პოეტურ მემკვიდრეობაში დღეს ჩვენთვის ბევრი რამეა გაუგებარი, რამდენადაც ჩვენთვის უცნობია გენეზისი მრავალი მისი ლირიკული პიესისა, რამდენადაც მისი პოეზია გამოსცილდა თავისი ეპოქის საზღვრებს. ცხადია, ბესიკის ლექსებში მრავალი მისი დროის ყოფის შიფრია ამოსაკითხი. მაგრამ მისი ლექსალური მუსიკა, მისი სიტყვის მაგია, მისი დიდი გულის ვნებანი, მისი პოეზიის ბრწყინვალე ფორმა, პლასტიურობა და ემოციური გამოსახულობა — დიდხანს დარჩება ქართულ პოეზიის სიამაყედ.

* * *

ორიგინალურია პოეტის ცხოვრებაც. იგი რომანი-თავგადასავალია, სავსე მოუსვენარი ხეტიალით, გმირობით, უიმედობით. ამ რომანის გმირი, სიყვარულით დამწვარი ტრუბადური, ერთსა და იმავე დროს არის სახელმწიფო მოღვაწე — კარისკაცი, დიპლომატი და პოეტი-იმპროვიზატორი. და, ბოლოს, ბესიკი, როგორც ინტელიგენტი, თავისი დროის საინტერესო ფიგურაა. აღმოსავლური პოეზიის მომღერალი იგი თავისი კულტურით სრულიადაც არ ეკუთვნის ყარაჩოღელი აშუღების წრეს, რომელსაც ჩვენში მას გაუგებრობით ხშირად მიაკუთვნებენ ხოლმე. თანამედროვენი მას უწოდებდნენ ერუდიტს, „გონება სრულს, ცოდნით შენასრულს", „მეცნიერებაში გამოცდილს". როგორც ეხლა ირკვევა, ბესიკი ახლოს მდგარა იმ ახალ ქართულ საზოგადოებრივ ჯგუფთან, რომლის ინტელექტუალური გამოვლინების მომენტი იყო მე-18 საუკუნის განმანათავისუფლებელი ფილოსოფიის რაციონალიზმი ანუ, პირობითად რომ ვსთქვათ, ვოლტერიანობა, რომლის მთავარ დამსახურებად, ჩემის აზრით, ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ცდილობს ქართული მწერლობის ევროპეიზაციას ევროპული თავისუფალი აზროვნების ლიტერატურის შემოტანით.

ბესიკის ინტელექტუალური განვითარებისათვის საგულისხმოა, რომ იგი ზიარებული ყოფილა თავის დროის ევროპის მწერლობის ზოგ შედევრებს. მაგალითად, ბესიკის ლექსებიდან, რასაც დღემდის ყურადღებას არ აქცევდნენ, ირკვევა, რომ პოეტს სცნობია ლესაჟის რეალისტური რომანი „ჟილბლაზი", რომელიც შესანიშნავ სოციალურ სატირას წარმოადგენს. მისი საყვარელი წიგნი ყოფილა ენციკლოპედისტის მარმონტელის განთქმული რომანი „ველიზარიანი". ეს დამახასიათებელი ნაწარმოებია ზომიერი განმანათლებლობისა, რელიგიური შემწყნარებლობისა და თავისუფალი აზროვნებისა. ბესიკის გატაცება ამ ნაწარმოებით იმდენად დიდი ყოფილა, რომ ერთი ეგზემპლიარი მას საკუთარი ხელით გადაუწერია. საგულისხმოა ისიც, რომ სახელი ველიზარი ანუ ველისარიანი ზოგჯერ მისი ლიტერატურული ფსევდონიმიც ყოფილა. ალბათ, ამ გატაცების მიზეზით, პოეტის მეგობრები გარდაცვალებულ ბესიკს დატირებისას წარმოთქმულ ლექსში მას „ჰკუით ველისარიანს" უწოდებდნენ, რაც იმ ფაქტს უნდა ადასტურებდეს, რომ ბესიკი მიმდევარი ყოფილა რომანში გამოთქმული იდეის-რწმენის თავისუფლებისა, მაშასადამე, იგი იდეურად ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიასთან და ქართველ ვოლტერიანებთან მდგარა, რომელთა წრეში პოეტს ჰყავდა არა ერთი პირადი მეგობარი.

ლერმონტოვის რჩეული ნაწერები ქართულად

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლერმონტოვის იუბილესთან დაკავშირებით გამოსცემს ლერმონტოვის „რჩეული ნაწერების კრებულს" პროფ. ს. დანელიას რედაქციით.

კრებულში მოთავსებული იქნება პოეტის 71 ლექსი, მათ შორის: „შემოდგომა", „მეგობრებს", „სიმღერა", „ორი შევარდენი", „მონოლოგი", „კავკასიას", „იალქანი", „ბოროდინო", „მომაკვდავი გლადიატორი", „პოეტის სიკვდილი", „ტუსაღი", „პოეტი", „სამი პალმა" „თამარი" და სხვა. ამ ლექსების თარგმანი შესრულებულია მ. პატარიძის, დ. გაჩეჩილაძის და კ. ნადირაძის მიერ. პოემებიდან კრებულში მოთავსებული იქნება: „სიკვდილის ანგელოზი" (თარგ. მ. პატარიძისა), „იზმაილ ბეი" (თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა, კ. ნადირაძისა და მ. პატარიძისა), „ჰაჯი აბრეკი" (თარგ. დ. გაჩეჩილაძისა), „სიმღერა კალაშნიკოვზე" (თარგ. ნადირაძისა), „ტამბოველი ხაზინადარის ცოლი" (თარგ. მ. პატარიძისა), „ლტოლვილი", „მწირი" (თარგ. დავ. გაჩეჩილაძისა) და „დემონი" (თარგ. დ. გაჩეჩილაძისა და კ. ნადირაძისა); გარდა ამისა, კრებულში მოთავსებული იქნება „ჩვენი დროის გმირი" (თარგ. გ. ქიქოძისა).

წიგნს დაერთვება რედაქტორის წინასიტყვაობა და შენიშვნები, დასურათებული იქნება სხვადასხვა მხატვრის მიერ, ხოლო გაფორმებული — მხატვარ ბ. გორდეზიანის მიერ.

სკოლამდელთა მაღალმხატვრული ლიტერატურისათვის

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ 1 აპრილს მოიწვია სპეციალური თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა სკოლამდელთა მხატვრული ლიტერატურით მომსახურების საკითხი. თათბირი ორ დღეს გაგრძელდა. დაესწრნენ სკოლამდელი მუშაკები, საბავშვო მწერლები, პრესის მუშაკები და სხვ.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ.

სკოლამდელთა მხატვრული ლიტერატურის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ან. ღვინიაშვილი.

მომხსენებელი შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც საბავშვო ბაღების წინაშე დგანან სკოლამდელთა მხატვრული აღზრდის დარგში, გაარჩია სკოლამდელთათვის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოსული წიგნები, ვრცლად ილაპარაკა სკოლამდელთათვის მომუშავე მწერლების ი. სიხარულიძის, მარიჯანის, ნ. ნაკაშიძის და ანა ხახუტაშვილის შემოქმედების შესახებ. მან სამართლიანად უსაყვედურა საბავშვო მწერლებს, რომ სკოლამდელთა წიგნების თემატიკა მეტწილად ცუგრიებსა და მელიებს არ გასცილებია, მაშინ, როცა თანამედროვე ბავშვი უფრო მეტს მოითხოვს, მას უფრო მეტი აინტერესებს, როცა მან ბევრად მეტი იცის, ვიდრე წარმოდგენილი აქვთ მათთვის მომუშავე მწერლებს. ბავშვს აინტერესებს თანამედროვე საკითხები, სკოლამდელთა წიგნები კი თანამედროვეობას ვერ ასახავენ.

გარდა ამისა, მომხსენებელი აღნიშნავს ამ ასაკის ბავშვთათვის ტექნიკური ხასიათის ლიტერატურის უქონლობას.

ამავე დროს მომხსენებელს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ არა სწორად იყენებს ზოგიერთი სკოლამდელი მუშაკი მხატვრულ სიტყვას, მწერლის შემოქმედებას.

ხშირად ისინი ამოკლებენ, უმართებულოდ ჰკვეცენ, უმატებენ ნაცუბათევად შეთხზულ სტრიქონებს და ეპიზოდებს ლექსებსა და მოთხრობებს და სხვ.

მომხსენებელი შეჩერდა საბავშვო წიგნების ილუსტრაციებზე. სკოლამდელთა წიგნები ხშირად მეტად უგემო და მეტად უბრალოდ არის დასურათებული. მხატვარი არ იცნობს ბავშვის ფსიქოლოგიას და ხშირად მისი ნამუშევარი ბავშვზე არა ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ნ. სანებლიძემ, ი. მჭედლიშვილმა, ფ. ხუნდაძემ, ნ. ჩაჩავამ, გ. ქუჩიშვილმა, თუმანიშვილმა, ი. სიხარულიძემ, ი. გელაშვილმა, ნ. უნაფქოშვილმა, რ. ქორქიამ, გ. კაჭახიძემ, ნ. ზრაილაშვილმა და ელ. ახვლედიანმა.

კამათში გამოსული ამხანაგები შეეხნენ საბავშვო მწერლების ჩამორჩენის მთავარ მიზეზებს, ამასთან მათ დასახეს ღონისძიებანი სკოლამდელთათვის მაღალი მხატვრული წიგნის შესაქმნელად.

თათბირზე გამოსული ამხანაგები სკოლამდელი წიგნის ჩამორჩენისა და მისი თემატიკის შეზღუდვის მთავარ მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ საბავშვო მწერალი და მხატვარი არ იცნობენ თანამედროვე ბავშვებს, მის ხასიათს, მის ფსიქოლოგიას, მის მოთხოვნილებების არეს; არ სწარმოებს კვლევითი მუშაობა იმაზე, თუ როგორ მიდის წიგნი სკოლამდელამდე; არა ხდება სკოლამდელთა შორის მომუშავეთა და მწერალთა შეხვედრები, მხატვრული პრესა არ ეხმაურება ამ დარგში გამოცემულ წიგნებს. კრიტიკა ნაკლებ ყურადღებას აქცევს საბავშვო მწერლებისა და მხატვართა შემოქმედებას. ყოველივე ეს უსათუოდ მოქმედებს სკოლამდელი მხატვრული ლიტერატურის ხარისხზე.

გარდა ამისა, ამხანაგები მოითხოვდნენ — შემოღებულ იქნას საბავშვო მწერლების ახალ ნაწარმოებთა დაბეჭდვამდე განხილვა, ახალი წიგნების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლის მოწყობა, საბავშვო მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე დისკუსიების გამართვა.

მოკამათეებმა საჭიროდ სცნეს, რათა საბავშვო მხატვრული წიგნის შექმნის საქმეში ჩაბმულ იქნან საუკეთესო მწერლები, მხატვრები, სიტყვისა და ფერის ოსტატები.

ამავე დროს მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რათა ჟურნალ „ოქტომბრელში" გამოიყოს სკოლამდელთათვის სპეციალური განყოფილება, რომელიც თავის ირგვლივ ახალ კადრებს შემოიკრებს.

ა. ღვინიაშვილის საბოლოო სიტყვისა და მ. ბურჭულაძის დასკვნითი სიტყვის შემდეგ გამოიყო კომისია, რომელსაც თათბირმა მიანდო პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება.

შემოქმედებითი დისკუსია იაკინთე ლისაშვილის ახალი რომანის—„კეცხოველის" გარშემო

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის ქართველი საბჭოთა მწერლების მრავალი ნაწარმოები გამოვიდა. ამ წიგნების თემებს შეადგენდა როგორც ჩვენი თანამედროვე მრავალფეროვანი ცხოვრება, ისე ქართველი ხალხის რევოლუციური წარსული.

ამ წიგნთა შორის თემის სირთულით უსათუოდ გამოირჩევა იაკინთე ლისაშვილის რომანი „კეცხოველი". ავტორი ამ ნაწარმოებში შეეცადა მხატვრულად აესახა ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** თანამებრძოლის **ლადო კეცხოველის** შესანიშნავი ცხოვრება ბავშვობის წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

31 მარტს მწერალთა სასახლეში გაიხსნა დისკუსია ამ წიგნის გარშემო.

დისკუსია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. **ირაკლი აბაშიძემ.**

ირაკლი აბაშიძის სიტყვა

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** წიგნმა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", — განაცხადა ი. აბაშიძემ, — ფართო ჰორიზონტი გადაუშალა ქართულ მწერლობას დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად. ეს წიგნი ისეთ საგანძურად გადაიქცა, საიდანაც ქართველ მწერლებს გამოაქვთ ძვირფასი თემები ჩვენი გმირული ბოლშევიკური პარტიის ბრძოლებისა და მუშაობის შესახებ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

იაკინთე ლისაშვილის რომანი „კეცხოველი", — განაგრძო ი. აბაშიძემ — შთაგონებულია ამხანაგ **ლ. ბერიას** ამ დიდი და სახელოვანი წიგნით. დიდს პროფესიულ რევოლუციონერზე მონოგრაფიული რომანის დაწერა ავტორისათვის მეტად რთულ ამოცანას შეადგენდა. აქ მას ზუსტად უნდა გამოეყენებინა არსებული ისტორიული დოკუმენტები, შეესწავლა და რეალისტურ ფერებში გადმოეცა ის ვითარება, რომელშიაც უხდებოდა კეცხოველს ცხოვრება და მოღვაწეობა. ამავე დროს თავისი ფანტაზიაც უნდა აემოძრავებინა იმდენად, რომ ეს ღირსშესანიშნავი ისტორიული მასალა მხატვრულად უფრო საინტერესო გამხდარიყო.

როგორ შეასრულა ეს ამოცანა ი. ლისაშვილმა? როგორ გამოიყენა მან ლადო კეცხოველის ირგვლივ არსებული მასალა? რამდენად შეესაბამება ავტორის ფანტაზია იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომელიც რომანშია ასახული? აი ის ძირითადი საკითხები, რომელთა გარშემოც უნდა წარიმართოს დისკუსია ი. ლისაშვილის რომან „კეცხოველზე", — დაამთავრა თავისი სიტყვა ი. აბაშიძემ.

ბესო ჟღენტის მოხსენება

ჩვენი ხალხის ისტორიულ-რევოლუციური წარსულის ასახვაში ქართულ მწერლობას უკვე საკმაო ტრადიცია აქვსო, — დაიწყო მომხსენებელმა. — შექმნილია მთელი რიგი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, სადაც ასახულია დიდი **სტალინისა** და მისი უახლოესი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდები. ლისაშვილის რომანი „კეცხოველი" ამ მხრივ უსათუოდ გამოირჩევა. მან პირველმა სცადა ერთიანი მხატვრული ქმნილების სახით რევოლუციის საუკეთესო გმირის — ლადო კეცხოველის ცხოვრების მოცემა.

რომანი „კეცხოველი" დაწერილია გულწრფელად, უშუალობით, დიდი სიყვარულით, დიდი განცდით. ეს არის უპირველესი ღირსება ამ რომანისაო, — განაცხადა ბ. ჟღენტმა. ამ ნაწარმოებს აქვს თვალსაჩინო შემეცნებითი ღირებულება.

არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი იმის შესახებ, რომ ეს ნაწარმოები ამხ. ლისაშვილის შემოქმედებაში არის წინგადადგმული დიდი ნაბიჯი, დიდი შემოქმედებითი მიღწევა, ნამდვილი დოკუმენტი მისი შემოქმედებითი ამაღლებისაო.

მომხსენებელმა გაარჩია რომანის ცალკეული ეპიზოდები. მან სთქვა რომ კეცხოველის ცხოვრების მრავალი ეპიზოდი მხატვრული სიმკვეთრით არის ასახული. მწერალი თავისი ფანტაზიით ავსებს იმას, რაც ჩვენ უკვე ვიცოდით ისტორიულ-პუბლიცისტური საარქივო მასალიდან. ავტორი კეცხოველს წარმოგვიდგენს მთელი თავისი მდიდარი ბუნებით.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა რომანის სუსტ მხარეებზე. მისი აზრით, რომანში სრულად და ღრმად არ არის ასახული ის დიდი იდეური ბრძოლა, რომელიც გაუმართა „მესამე დასის" რევოლუციურ-მარქსისტულმა უმცირესობამ სოციალიზმის საქმის მტრებსა და მოღალატეებს, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გამყალბებლებს საქართველოში.

ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით დაწყებული რევოლუციური ბრძოლა მოასწავებდა უდიდეს გარდატეხას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეს დიდი გარდატეხა ვერ არის შესაფერი სიღრმით მოცემული რომანში და კეცხოველის ინტელექტუალური ცხოვრებაც ამ მხრივ სათანადოდ გაშუქებული არ არის.

მომხსენებელმა უსაყვედურა ლისაშვილს მხატვრული ხერხების განმეორება, ერთგვარი სქემატიზმი. რომანში ავტორს უარყოფითი პერსონაჟები სრულ მახინჯებად და უბადრუკებად ჰყავს გამოყვანილი. წერის ეს პლაკატური მანერა არ უხდება ასეთი სახის მხატვრულ ნაწარმოებს. ამავე დროს რომანს ზოგიერთი სტილისტური შეუსაბამობაც ახასიათებს. ავტორი ხშირად ძალზე მარტივად აშენებს ფრაზას.

ლეო ქიაჩელის სიტყვა

ბიოგრაფიულ რომანებში მთავარი გმირის ვიწრო-ბიოგრაფიულ ხაზს მისდევენ, ფაქტიურად არსებულ ბიოგრაფიულ მასალას არ სცილდებიან და ფანტაზიით შემოტანილ ელემენტებს გაურბიან. ასეთი ტიპის რომანში ფანტაზიის ელემენტების შეტანა მე უფრო ადვილ და იოლ გზად მიმაჩნიაო, — განაცხადა ქიაჩელმა, — და შესაძლებელია ეს სახიფათო გზაც იყოს.

ი. ლისაშვილს თავის რომანში ფანტაზიის ელემენტები ნაკლებად აქვს შეტანილი. ავტორი ფანტაზიას მიმართავს უმთავრესად კეცხოველის ბავშვობის პერიოდში და ნაწილობრივ მისი კიევში ყოფნის დროს. იქნებ ეს ავტორს სჭირდება იმისათვის, რომ ამ პერიოდების გარშემო ნაკლებად მოიპოვება ფაქტიური მასალა.

რომანის ყველაზე საუკეთესო ადგილად ლ. ქიაჩელს კიევის პერიოდი მიაჩნია. აქ ავტორი უფრო მხატვრულად, ლიტერატურულად აღწერს ფაქტებსა და მოვლენებს. მაგრამ ავტორი აქ ინტიმურ მხარეებს აქცევს ყურადღებას და სცილდება იმ მთავარ მიზანს, რომელსაც მთელი ეს რომანი ემსახურება. ჩვენ აქ კეცხოველს ვერ ვხედავთ სტუდენტთა იმ წრეში, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ რევოლუციურ მოძრაობასთან.

კარგად აქვს მოცემული ავტორს ციხეში ლადოს სულიერი განცდა, მისი გმირული განწყობილება. კარგადაა აღწერილი კეცხოველის ვერაგული მკვლელობაც. მაგრამ ხშირად დიდხანს ჩერდება ავტორი მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე. ყველა თავი ერთის სიძლიერით არ არის დაწერილი. ავტორს დასჭირდება ზოგიერთი თავის ლიტერატურულად გადამუშავება. ზოგან ავტორი ღალატობს ეპიურ თხრობას და გადადის სქემატურ, კონსტრუქტიულ თხრობაზე.

საერთოდ რომანი დაწერილია დიდის სიყვარულით. მე, როგორც მკითხველმა, ეს ვიგრძენი რომანის კითხვის დროს. ეს არის მთავარი, რითაც იმარჯვებს ეს ნაწარმოები მკითხველთა შორის.

ლევან ასათიანის სიტყვა

ი. ლისაშვილის რომანი მრავალ მხრივ არის საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ დიდტანიანი წიგნის მთელ მანძილზე ავტორი დგას იმ იდეურობის სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს ჩვენი ეპოქა საბჭოთა მწერლისაგან. მეტად რთული და საპასუხისმგებლო თემა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ნაწარმოებს, ავტორს დაძლეული აქვს იმდენად, რომ მკითხველი ბოლომდე კმაყოფილებით კითხულობს წიგნს.

წიგნში ბევრი საინტერესო ადგილია, რომლებიც მკითხველს მეხსიერებაში რჩება. ასეთია პატარა ლადოს და სოფრომ მგალობლიშვილის შეხვედრა, ტრამვაის მუშათა გაფიცვის ეპიზოდი, **სტალინისა და კეცხოველის** დიალოგი, კეცხოველის მუშაობა ბაქოში, კეცხოველის დაბრუნება ტყვიავში და სხვ. რომანის მეორე ნახევარი უფრო ძლიერად არის დაწერილი. აქ ნათლად სჩანს, თუ როგორ იზრდებოდა ავტორი, როგორც ოსტატი, თვითონ რომანის წერის პროცესშიაც.

საერთოდ ეს წიგნი ავტორისათვის წინგადადგმული დიდი ნაბიჯია. მიუხედავად ამისა, რომანს მაინც აქვს ზოგიერთი ხარვეზი. მთავარი გმირის ცხოვრების პერიოდები თანაბრად არ არის მოცემული რომანში. წიგნის ორი მესამედი აგვიწერს კეცხოველის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდს, ხოლო ერთ მესამედში მოცემულია მისი რევოლუციური მოღვაწეობა.

გარდა ამისა ავტორი ხანდახან არატიპიურ, არა დამახასიათებელ გარემოს იძლევა (მაგ. სიმინდის თოხნა), ალაგ-ალაგ გურული კილოთი ალაპარაკებს პერსონაჟებს.

იონა ვაკელის სიტყვა

რომანი „კეცხოველი" ქართული მხატვრული პროზის მორიგ გამარჯვებას წარმოადგენს. ეს ნაწარმოები დიდი მხატვრული ექსპრესიით არის დაწერილი და მკითხველზე უსათუოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

რომანის მთავარი ხაზი კეცხოველის ცხოვრების მოცემაა. მაგრამ ლისაშვილი თავის რომანში ახალგაზრდა სოსოს სახესაც იძლევა. აქ ჩანს დიდი სიყვარული ახალგაზრდა **სტალინისადმი.**

რომანში მთავარი პერსონაჟები, რომელთაც ლადოსთან უშუალო ურთიერთობა აქვთ, რომელნიც მასზე რაიმე გავლენას ახდენენ ხორცშესხმულნი, მხატვრულად გამოკვეთილნი არიან.

დიდის ყურადღებით იკითხება რომანის ის ადგილი, როცა ლადო ბათუმიდან მომავალი თავის სახლში გაივლის. იგი ნახავს ხეებს, რომლებზედაც თავისი გვარი და სახელი ამოუჭრია ოდესღაც. ეხლა ეს ხეები გაზრდილან, ასოებიც გაზრდილან. შესცქერის ამ ხეებს თითქოს უკანასკნელად, აქ თითქოს წინათგრძნობაა იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც მან შემდეგ განიცადა.

იონა ვაკელი შემდეგ ეკამათება ლეო ქიაჩელს რომანში კიევის პერიოდის აღწერის შესახებ. მას რომანის ეს ნაწილი ოსტატობით დაწერილად მიაჩნია. მაინცდამაინც საჭირო არ იყო ავტორს ლადო ეჩვენებინა რევოლუციურ სტუდენტთა წრეში. კეცხოველის რევოლუციურ მოღვაწეობაზე რომანის მეორე ნახევარში ბევრი ლაპარაკია მაინც. იმ თავებში კი, სადაც უკრაინის ამბებია აღწერილი, ავტორი შეეცადა ლადოს ინტიმური ცხოვრების მოცემას.

საერთოდ რომანი ისტორიულ სიმართლეს შეიცავს და რეალისტური ფერებით არის დაწერილი. ამიტომ არის, რომ მას მკითხველი დიდის ინტერესით კითხულობს.

◇ ◇



ი. სტალინი და ლ. კეცხოველი. ნახ. ირ. შტენბერგისა.

◇ ◇

ილია ბოლქვაძის სიტყვა

ი. ლისაშვილის ახალი რომანი პირველ სტრიქონებიდანვე გიტაცებს და გიპყრობს. ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსული იქ დიდის სიმართლით და სიზუსტით არის მოცემული. ახალგაზრდობისათვის ეს წიგნი ერთი საუკეთესო საკითხავი წიგნთაგანი იქნება, იგი მხატვრულ სახეებში გაეცნობა შესანიშნავ რევოლუციონერის ლადო კეცხოველის ცხოვრებას და ხალხის კეთილდღეობისათვის მის თავდადებულ ბრძოლას.

ავტორი კვალდაკვალ მისდევს ისტორიულ სინამდვილეს. მას ამოკრეფილი აქვს ღირსშესანიშნავი ფაქტები, მაგრამ ალაგ-ალაგ იგი მეტად შეკვეცილ მასალას იძლევა თვალსაჩინო ისტორიულ მოვლენებზე — „მესამე დასის" წარმოშობაზე, ლეგალურ მარქსისტებსა და რევოლუციურ მარქსისტებს შორის ბრძოლაზე. ყველაფერი ეს ავტორს უფრო გამძაფრებულ ფორმებში უნდა მოეცა.

მიხეილ ფოფხაძის სიტყვა

ისტორიულ თემატიკაზე მომუშავე მწერალი იძულებულია უამრავ მასალიდან შეარჩიოს ყველაზე უფრო ტიპიური და ყველაზე უფრო დამახასიათებელი იმ ეპოქისათვის, რომლის გაშუქებასაც ფიქრობს იგი. ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ მოცემულ სიუჟეტს როგორ გაშლის, როგორ უჩვენებს მოქმედებაში.

ამ მხრივ ლისაშვილის რომანში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

უპირველეს ყოვლისა იგი ობიექტური არ არის პერსონაჟების დახატვაში. დადებითს პერსონაჟებს იგი უფრო ასხამს ხორცს, უფრო იყენებს ფერადებს მათი დახატვის დროს. უარყოფით პერსონაჟებს კი სქემატურად იძლევა. მწერლის მიერ ფანტაზიით შექმნილი ფაქტები და მოვლენები ნაკლებ დამაჯერებელნი არიან. მაგალითად, ლადო სოფელშია. ამ დროს თავს ესხმის პოლიცია. იგი მოხუცის ნიღაბს იკეთებს და პოლიცია პირში ჩალაგამოვლებული რჩება.

აპოლონ წულაძის სიტყვა

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მხატვრული მწერლობა იძლევა ჩვენი მდიდარი რევოლუციური წარსულის თვალსაჩინო გმირების ცხოვრების სურათებს. მომავალი თაობა ამის მეოხებით კარგად გაიგებს, რამდენი სისხლი დაღვრილა ახალი ცხოვრების შესაქმნელად, დაუფიქრდებიან და თვალისჩინივით მოუვლიან ამ დიდ მონაპოვარს.

ლისაშვილს ბევრი უმუშავნია იმისათვის, რომ მისი რომანი კარგი საკითხავი წიგნი გამოსულიყო. რომანის თემა მეტად მადლიანია და ავტორი მას კეთილსინდისიერად შლის. რა თქმა უნდა, ეს თემა მეტად რთულია და არც არის გასაკვირველი, თუ რომანში ზოგიერთ ხარვეზებს ვხედავთ. ალაგ-ალაგ რომანი სტილისტურად დახვეწილი არ არის. ვხვდებით არასწორ გამოთქმებს და ფრაზა არ არის კარგად გამართული. მწერალი ზოგიერთ მოვლენას და ფაქტს ვერ ასწერს ზუსტად, აქსესუარები მას შესწავლილი არა აქვს. ამიტომ არის, რომ მიწურ სახლს განის კარები, დარბაზი, აივანი და სამზარეულოც აქვს. ასეთ სახლს ქართლში ჭისკარიც კი ჰქონია თურმე.

გარდა ამისა, ქართლში მცხოვრებ ადამიანებს მწერალი გურულ კილოზე ალაპარაკებს: „დაიკო", „ძამიკო", „ნიკონია" და სხვ.

სანდრო ეულის სიტყვა

რომანი „კეცხოველი" საპატიო ადგილს დაიჭერს არა მარტო ლისაშვილის ნაწარმოებთა შორის, არამედ საერთოდ ქართულ პროზაში. ეს იმით აიხსნება რომ ავტორს ეს ნაწარმოები დიდი სიყვარულით დაუწერია, კარგად შეუსწავლია რომანის მთავარი გმირის ცხოვრება და მოღვაწეობა, გასცნობია იმ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს, რომელშიაც კეცხოველს უხდებოდა მუშაობა. პერსონაჟებს, მოვლენებს და ფაქტებს იგი ისეთი სიზუსტით და მხატვრული დამაჯერებლობით აგვიწერს, რომ წიგნი მეტად საინტერესო საკითხავი ხდება.

აქ დაობენ ბიოგრაფიულ რომანში ფანტაზიის ელემენტების შეტანის შესაძლებლობაზე. ჩემის აზრით, ეს სადაო საკითხი არ არის. ასეთი სახის მხატვრულ ნაწარმოებში უსათუოდ უნდა იყოს ფანტაზიის ელემენტები. სხვაფრივ იგი ბიოგრაფიული ნარკვევი გამოვა და არა მხატვრული ნაწარმოები; აქ ლაპარაკობენ უმთავრესად დეტალებზე და, რაც მთავარია, ივიწყებენ იმას, თუ რამდენად შესძლო ავტორმა რომანის მთავარი გმირის სრულყოფილად მოცემა. ლისაშვილმა თავის რომანში გადასჭრა ეს მეტად საპატიო ამოცანა. აქ კარგად არის დახატული კეცხოველი როგორც რევოლუციონერ-მარქსისტი, ჰერქვეშ მომუშავე შეუდრეკელი რევოლუციონერი. ამავე დროს მწერალს არ დაუშურებია საღებავები, რათა რომანში მოეცა კეცხოველის ინტიმური, პირადი ცხოვრებაც.

ამ გმირის ასეთი სისრულით მოცემა უსათუოდ ავტორის დიდი გამარჯვებაა. ეს დამაჯერებელს ხდის რომანს.

ე. ასფაცაგუროვის სიტყვა

ი. ლისაშვილის ეს რომანი მის ნაწარმოებთა შორის ყველაზე დასრულებული, თანმიმდევრულად განვითარებული და სიუჟეტურად შეკრული ნაწარმოებია. მთავარი ღირსება ამ რომანისა მდგომარეობს იმაში, რომ ის თითქმის არ ღალატობს ისტორიულ ფაქტებს, გმირის ცხოვრებიდან აღებულ ბიოგრაფიულ მომენტებს და ამ გმირის გარშემო დაგროვილ მასალას.

გარდა ამისა ავტორი ამ რომანში ერთგვარ მხატვრულ სისადავეს აღწევს. მისი ფრაზა ბევრად უფრო დახვეწილია, ლაკონიური და ელასტიური. არის ადგილები, რომლებიც მკითხველზე დიდ ზეგავლენას ახდენს, აღელვებს მას. ასეთად პირველ რიგში აღსანიშნავია ახალგაზრდა **სტალინისა** და **კეცხოველის** შეხვედრა, მათი მეგობრობის დასაწყისი. ავტორს ეს მომენტი დიდი სიყვარულითა და მხატვრული სიმართლით აქვს მოცემული.

მე არ ვიზიარებ იმ აზრს, თითქოს ბიოგრაფიულ რომანში არ შეიძლებოდეს ფანტაზიის ელემენტების შეტანა. პირიქით, ლისაშვილის რომანი უფრო მეტს მოიგებდა, რომ იქ ავტორს ჭარბად გამოეყენებინა ფანტაზია. ოსტატურად გამოყენებული ფანტაზია არომატს მატებს, მეტ მხატვრულობას აძლევს ნაწარმოებს, გმირი უფრო ხორცშესხმული გამოიყურება.

გარდა ამისა, მართალია, ნაწარმოებში დაცულია ისტორიული სინამდვილე და თანაც ავტორი კვალდაკვალ მისდევს ფაქტებს. რომანში ყველაფერი ისაზღვრება იმ ამბებით, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ მხოლოდ კეცხოველის საქმიანობასთან. ლისაშვილს უნდოდა კეცხოველის სახით მოეცა თვით ის ეპოქა და გარემო სადაც ამ ადამიანს უხდებოდა მუშაობა. მაგრამ რომანის წაკითხვის შემდეგ თქვენ დარწმუნდებით, რომ ავტორმა ამ ამოცანის ამომწურავად გადაჭრა ვერ შესძლო. მწერალს დიდი ყურადღება უნდა მიექცია ამ ეპოქის საზოგადოებრივი მოვლენების ასახვისათვის, დაეკავშირებინა ეს მოვლენები რომანის მთავარ პერსონაჟის ცხოვრებასთან. ეს უფრო მეტად დამაჯერებელსა და სრულყოფილს გახდიდა მხატვრულ ნაწარმოებს.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, რომანი „კეცხოველი" გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს. რომანი „კეცხოველი" ხელს უწყობს მკითხველის ინტერესის გაზრდას ჩვენი ხალხის უახლოესი გმირული წარსულის შესწავლისადმი.

სიმონ ჩიქოვანის სიტყვა

რომანის დაწერა ისეთი პიროვნების შესახებ, როგორიც ლადო კეცხოველია, ძალიან რთული საქმეა. ასეთ რომანში ნაგულისხმევი უნდა იყოს არა მარტო ლადო კეცხოველის პიროვნების გაშუქება, არამედ მთელი ეპოქის სურათის მოცემა. ლადო კეცხოველი საუკეთესო წარმომადგენელი იყო იმ ეპოქისა, იმავე დროს დიდი პოლიტიკური ძვრების ერთ-ერთი მონაწილე და შემოქმედთაგანი. ამიტომ ლადო კეცხოველის ასახვისათვის რომანი დიდს მხატვრულ ძალას მოითხოვს.

მე ძალიან მეჩოთირება, ისტორიულ პიროვნებას, რომელიც არც ისე დიდი დროით არის დაშორებული ჩვენგან, ისეთი რამ მივაწეროთ, რასაც სინამდვილეში, მის ცხოვრებაში ადგილი არა ჰქონია და რაც მისი ცხოვრების ფაქტებიდან არ გამომდინარეობს.

რომანში ლადო კეცხოველს უყვარს სოფელში ერთი ქალი, შემდეგ მას ინტიმური შეხვედრები აქვს უკრაინაში განასთან. არც ერთი ეს ამბავი სინამდვილეში არ მომხდარა. და შეუძლია თუ არა შემოქმედს, ასეთი რამ მიაწეროს კეცხოველს? ვეჭვობ, რომ ამ ეპიზოდებს გმირის ფორმაციაში რაიმე მონაწილეობა მიეღოთ. ვშიშობ, ფაქტიური მასალა და ავტორის ფანტაზია რომანში ერთმანეთს არ ებრძოდნენ.

ავტორს აქვს კეცხოველისადმი მხატვრული სითბო. ეს იწვევს მიმზიდველობას. საერთოდ კეცხოველის ფიგურა კარგად აქვს მოცემული მწერალს. ეს უსათუოდ დადებითი მხარეა მის შემოქმედებაში.

მაგრამ რომანს აქვს ზოგიერთი დეფექტიც. რომანში არ იყო საჭირო აღწერის ბლომად შეტანა. მრავალი აღწერა და ზოგიერთი ეპიზოდი რომანს ესთეტიკურად არაფერს მატებენ, პირიქით, ისინი ადუნებენ კომპოზიციას. ზოგიერთი ეპიზოდი თავისთავად კარგია, მხატვრულია, მაგრამ მთლიან კომპოზიციაში ზედმეტია.

რაც შეეხება წმინდა ენობრივ მასალას, აქ მხატვარს დიდი წინსვლა ემჩნევა. ნაწარმოები სუფთად არის დაწერილი, ავტორს ამბის მოყოლაში ბუნებრიობა ეტყობა. მაგრამ ბევრგან ფრაზა ვერ არის მკაფიოდ გამოკვეთილი და პოეტურად გამთბარი. ამა თუ იმ მოვლენის აღწერისას იგი მრავალსიტყვაობაში ვარდება.

საერთოდ რომანი „კეცხოველი" ლისაშვილის დიდი შემოქმედებითი წინსვლაა, მისი გამარჯვებაა. ავტორმა ამ ნაწარმოებში გვიჩვენა მხატვრული სისადავე, ახალი მხატვრული ძალა, გვიჩვენა ინტიმური სითბო თავისი გმირის მიმართ.

ალბათ, ლისაშვილი უფრო მეტად დახვეწს თავის ახალ რომანს, დაამუშავებს ზოგიერთ ეპიზოდს და ამით იგი მას უფრო მიმზიდველს და უფრო საკითხავად საინტერესოს გახდის.

ვანო კეცხოველის სიტყვა

ი. ლისაშვილმა მეტად საპასუხისმგებლო საქმეს მოჰკიდა ხელი — მხატვრული სიტყვის საშუალებით მოეცა დიდი რევოლუციონერის ცხოვრება. ავტორს ბევრი ფაქტიური მასალა გამოუყენებია. რომანში გამოყვანილი მრავალი პერსონაჟი რეალური ფიგურაა, ისინი მხატვრულად სწორად არიან ასახულნი. მრავალი სიტუაცია, მოვლენა ნამდვილია და დამაჯერებლად აქვს ავტორს მოცემული. რომანი ტყვიავის მიდამოებში იწყება. ლადოს ბავშვობა, მისი ოჯახი კარგად არის აწერილი. მაგრამ ავტორს უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმო იმ კულტურულ გარემოცვისათვის, რომელშიაც იზრდებოდა ლადო კეცხოველი. ამ გარემოცვამ უსათუოდ დიდი როლი ითამაშა ლადო კეცხოველის ცხოვრებაში, რადგან პირველი აღზრდა, პირველი რევოლუციური ბიძგი ამ გარემოცვაში მიიღო ლადომ.

შემდეგ სისრულით არ არის მოცემული სემინარიის პერიოდი.

ლადოს ყოფნა კიევში არ იძლევა მისი ბიოგრაფიის ფაქტიურ მასალას. ეს პერიოდი კი მის ცხოვრებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი იყო.

ავტორს რომანში უფრო მკაფიოდ უნდა მოეცა „მესამე დასის" ამბები. ამას მოითხოვდა თვითონ რომანის გმირის ბიოგრაფიული ფაქტებიც.

საერთოდ რომანი კარგად იკითხება, იგი ფართო მკითხველ საზოგადოებას დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის შესწავლაში. ოღონდ ლისაშვილმა უნდა განაგრძოს მუშაობა რომანზე, დახვეწოს იგი და აქ გამოსულ მოკამათეთა შენიშვნების საფუძველზე უფრო სრულყოფილი გახადოს ნაწარმოები.

იაკინთე ლისაშვილის სიტყვა

ჩემი რომანი „კეცხოველი" არ ეხება ჩვენი ახლო წარსულის რომელიმე ცალკე ეპიზოდს ან მოვლენას. მე შევეცადე დამეწერა რომანი კეცხოველზე, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, მომეცა ის ეპოქა, როცა კეცხოველი მოღვაწეობდა.

აქ ილაპარაკეს არაისტორიული პირებისა და ეპიზოდების შეტანის შესახებ. ზოგიერთს ეს ზედმეტად მიაჩნია და ეჩოთირება კიდეც. მაგალითად, რატომ შევიტანე ჩემს რომანში გიგოლა? მე ამით მინდოდა მეჩვენებინა, როგორს დიფერენციაციას ჰქონდა ადგილი სოფელში, რა გზით მიდიოდა მაშინდელი სოფელი. ამავე დროს მინდოდა აქ მეჩვენებინა ლადო, როგორც მგრძნობიარე ადამიანი.

გორის პერიოდის დეტალურად აღწერა მჭირდებოდა ლადო კეცხოველის ზრდის ჩვენებისათვის.

მე არ ვეთანხმები ამხანაგებს კიევის პერიოდის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებში. უკრაინის პერიოდი მე ხაზგასმით მაქვს ასახული რომანში. იქ გახსნილია ლადოს ინტიმური ცხოვრების მხარეები. გარდა ამისა, მე ამით მინდოდა ამესახა ორი ქვეყნის— უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობა, რომელთაც ერთნაირად სჩაგრავდა ცარიზმი.

კეცხოველის ბიოგრაფიულ მასალას, მასალას, რომელიც იმ ეპოქას ეხება, მე გაცნობილი ვარ. მრავალი ფაქტი ამ დიდი რევოლუციონერის ცხოვრებიდან რომანში განგებ არ შევიტანე. ეს იმიტომ, რომ მე, როგორც მხატვარმა, ჩემი მხატვრული აზრის დასასაბუთებლად ან გმირის ხასიათის გასახსნელად ზედმეტად მივიჩნიე. ასე რომ ამ მხრივ ჩემს მიმართ გამოთქმული საყვედური უმართებულოდ მიმაჩნია.

მე საერთოდ მეტად კმაყოფილი ვარ, რომ ჩემმა ახალმა ნაწარმოებმა ასეთი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ამხანაგებმა მრავალი სამართლიანი შენიშვნა მომცეს, რომლებიც მე ერთგვარ წარმოდგენას მაძლევს იმაზე, თუ რისი გაკეთება არის კიდევ საჭირო, რომ ჩემი რომანი „კეცხოველი" შემდეგი გამოცემის დროს, რაც შეიძლება უნაკლოდ გამოვიდეს.

ამით დამთავრდა დისკუსია, რომელმაც ორ დღეს გასტანა.

ნიკო ლორთქიფანიძე

შ. იმნაძე



ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული პროზა ჯერჯერობით არ არის სათანადოთ შესწავლილი და შეფასებული. ამ მეტად მნიშვნელოვან, უსათუოდ დიდი პოეტური გზნების, დიდი მხატვრული სიტყვის ოსტატისათვის დღემდის არც ერთი საფუძვლიანი წერილი არ მიუძღვნიათ.

ნიკო ლორთქიფანიძე მდიდარი ემოციური განცდისა და მაღალი ესთეტიური გემოვნების მწერალია. მისი წერის მანერა და სტილი არსებითად განსხვავდება ქართული ლიტერატურის კლასიკური პროზის წარმომადგენელთა მანერისა და სტილისაგან და იმავე დროს არც თანამედროვე ქართველ მწერლებთან აქვს მას რამე საერთო. ფრაზის ლაკონიურად მოჭრის და რიტმულ ფორმაში გამოკვეთის თვალსაზრისით ნიკო ლორთქიფანიძის პროზას თითქოს რაღაც მსგავსება აქვს ქართული პოეტური პროზის უდიდეს წარმომადგენელთან — ვასილ ბარნოვთან, მაგრამ ამ ორი მწერლის ერთმანეთთან შედარება მაინც შეუძლებელია მათი სპეციფიური განმასხვავებელი თვისებების გამო.

ნიკო ლორთქიფანიძე წერის ოსტატია, შემოქმედებითი ორიგინალობისა და ფართო დიაპაზონის მწერალია. მისი მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზია და შინაგანი სულიერი სტიქია მინიატურული მოთხრობების ლაკონიურ ფრაზებშია ჩაკეტილი. თხრობის შემდგომი განვითარების ბედი კი მკითხველის სურვილსა და წარმოდგენებზეა დამოკიდებული. „მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდი ცხოვრებიდან, — ეუბნება მწერალი მკითხველს, — მათი ერთმანეთთან შეკავშირება-კი შენთვის მომინდვია. მკითხველს მოსწყინდა უკვე, ყველაფერი შემუშავებული თავ-თავის ადგილზე ჰპოვოს. მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი უნდა დაამზადოს, ხოლო დამთავრება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს უნდა მიანდოს". ამრიგად, მწერალს მკითხველი თვით შეჰყავს თავის შემოქმედებითს ლაბორატორიაში შემოქმედებითი პროცესების გასაცნობად და თვით მკითხველსაც რაღაც იდუმალ შემოქმედად ჰხდის.

როდესაც ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს კითხულობთ, დიდი გულისყური და დაკვირვების ნიჭია საჭირო, რათა სტრიქონებს შორის არაფერი გამოგრჩეთ. მწერალი ხშირად თხრობის ძაფს ნაწყვეტების სახით ანვითარებს და მათ შორის მთლიანი კონტაქტი მკითხველმა უნდა დაამყაროს. ზოგჯერ მთავარი აზრი ისე პლასტიურად ეხორცება ლაკონიურ ფრაზაში მოკვეთილ სტრიქონს, რომ მისი შემჩნევა ძნელი ხდება და სტრიქონების შინაგანი გაშიფვრაა საჭირო მწერლის იდუმალი აზრის ამოსაცნობად.

თემატიკის თვალსაზრისით ნიკო ლორთქიფანიძე მთლიანად წარსულს ეკუთვნის. მწერალი ინტუიციით გადადის წარსულში და წარსული ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს მხატვრულად აცოცხლებს. მისი სამხატვრო პალიტრა სავსეა გასული საუკუნეების ფეოდალურ-არისტოკრატიული საქართველოს, თავად - აზნაურული ცხოვრებისა და რაინდული ყოფის დამახასიათებელი თვისებების ამსახველი ფერებით. მწერალი დიდის მზრუნველობით გვიხატავს თავად-აზნაურთა ყოფა-ცხოვრებას, მკაცრ და მრისხანე მებატონეებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მის შემოქმედებაში საგრძნობი სიცხოველით არის აგრეთვე მოცემული მშრომელი ხალხის, დაბეჩავებული გლეხობისა და მუშათა რევოლუციონური მასების ცხოვრებაც. თუმცა ობიექტური სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ნიკო ლორთქიფანიძე ძველი ფეოდალური ყოფისა და თავად-აზნაურთა ტიპების დახატვაში ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მუშათა რევოლუციური მასების და გლეხთა ცხოვრების ასახვაში.

ნიკო ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნის უამრავი მინიატურა, ლეგენდა, ზღაპარი, ერთი დრამატიული ხასიათის ნაწარმოები „ქეთო" და რამდენიმე მოზრდილი მოთხრობა. მის ნაწარმოებთა მთავარი ნაწილი დაწერილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინაპერიოდში. ამიტომ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში თავი იჩინა დაცემულობისა და გულგატეხილობის მოტივმა, რომელიც რეაქციის პერიოდში ახასიათებდა ინტელიგენციის განსაზღვრულ ფენებს. ეს მოტივი განსაკუთრებით მის მინიატურებში გამოაშკარავდა.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების განხილვის დროს ყურადღების ცენტრში მისი მინიატურები და მოთხრობები უნდა იქნას მოქცეული. მინიატურებში მწერალი მხატვრული შემოქმედების ამ ურთულესი ფორმის უდიდეს ოსტატად გვევლინება. მისი მოთხრობები, ზოგიერთის გამოკლებით, არ ემყარებიან ფაბულის მთლიანობას და რამდენიმე მინიატურას შეიცავენ. ამრიგად მწერლის შემოქმედების ძირითად მხატვრულ სახეს მინიატურული მოთხრობების ჟანრი წარმოადგენს.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურებში მთავარი ადგილი სიყვარულის პრობლემას უჭირავს. სიყვარულის მწველ განცდებს მწერალი იმპრესიონისტული წერის მანერით ლამაზ მხატვრულ ფორმებში აჩუქურთმებს. ბუნება მწერლისათვის ერთგვარი გამოსავალი ფონია მხატვრული ეფექტის მისაღწევად. მწერლის გაგებით, სიყვარულს საფუძვლად არ უდევს ხორციელი ლტოლვილება. სიყვარული სულიერი თვისებაა, სიძვას მოკლებული, მარადიული და ერთად-ერთი დაუშრეტელი წყარო ჭეშმარიტი ხელოვნებისა. სიყვარულის ცეცხლით ანთებული სული სანთელივით იწვის მოტრფიალეთა მთელი ცხოვრების მანძილზე. ამიტომ ნიკო ლორთქიფანიძის ნაწერებში სიყვარულის ინტრიგა არასოდეს „თაფლიანი თვის" პერიოდს არ გაივლის და ბედნიერებით არ ბოლოვდება. თუ შეყვარებულთა ერთმანეთისადმი ლტოლვამ დაბრკოლება დასძლია და მათ ხორციელი სიტკბოება იგემეს, მათი ცხოვრება უფერულდება, ინტერესს და მიმზიდველობას ჰკარგავს, — შეყვარებულთ ეკარგებათ ხელოვნებისადმი წვდომის ჯადოსნური თილისმა და უმწეონი ხდებიან. ისინი მშვენიერები არიან მანამდე, სანამ მიისწრაფვიან, რადგან, ავტორის თქმით, ნატყორცნი ისარია მხოლოდ ლამაზი და არა მიზანში მოხვედრილი. ერთ ადრინდელი ხანის ნაწარმოებში — „ეს იყო ძველად" — მწერალს აღწერილი აქვს შეყვარებული ქალ-ვაჟის თავგადასავალი. ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა, გაიოზმა და თეომ, სიტყვა მისცეს ერთმანეთს. „სიტყვას ქალისას ისე დაენდო ვაჟი, როგორც მაისის სიტურფეს და ვაჟის სიტყვას ისე დაეყრდნო ქალი, როგორც ბზის ყვავარჯენს ბრმა". მაგრამ ბედმა ისინი მაინც გასთიშა. ქალი სხვას მიათხოვეს ძალით. რამდენიმე წლის შემდეგ გაიოზი გაიტაცებს თეოს ერთად-ერთ შვილს — ფარნას და მამობრივი მზრუნველობით აღზრდის. გაივლის დრო. გაიოზს ძალზე მოსწყურდება თეოს ნახვა და გადასწყვეტს გამოცხადდეს სასახლეში. წინ თავისი აღზრდილი, უკვე დავაჟკაცებული ფარნა მიუძღვის. ფარნას ჰგონია, რომ გაიოზი მისი მამაა. იგი პირველი ავარდება კოშკის კიბეზე და ამოღებული ხმლებით ერთმანეთს პირისპირ შეხვდებიან ნამდვილი მამა და შვილი.

— დამნებდით, თქვენს ჭაღარას ნუ შემარცხვენინებთ! — შესძახებს ფარნა.

— შეჩერდი, ფარნა, მაგი მამაა შენი!.. — დაუყვირა გაიოზმა.

— რას ამბობ, გაიოზ! — გაოცებული იკითხავს ფარნას მამა ფრიდონი.

— დიახ ეს შენი შვილია, — უპასუხებს გაიოზი: — სულიერად მე ვარ მაგისი მამა... ჩემს საქმეს მაგი განაგრძობს... ჩემი გადავეცი მას ყველაფერი... ცოდნა, ზნე-ჩვეულება, მეფის ერთგულება და ღვთის მსახურება... შეხედე პირადადაც თუმცა იგი შენი სისხლი და ხორცია, მაგრამ მე უფრო მგავს, ვიდრე შენ. შენ წამართვი ხორცი, მე დამრჩა სული".

ამ დროს ოთახში შემოიყვანენ ცოცხალ-მკვდარ ქალს.

„— თეო, თეო, — მიმართავს გაიოზი: — შეხედე, შენი შვილი მოგიყვანე. მაპატიე, რომ უმისოდ დაგსაჯე, მაგრამ ვერ მოვითმინე... შენ მაგიერ მყავდა, შენ გგავს იგი, შეხედე მის თვალებს, თხელ ტუჩებს".

თეოს წინაშე დაჩოქილ გაიოზს მოულოდნელად ხანჯალს ჩასცემს ფრიდონი.

„— შენც მოგკლეს ჩემთან ერთად! — შეჰკივლებს თეო. — იცოდე, გაიოზ, თუმცა სხვა იყო ჩემი ქმარი, შენი ვიყავი მაინც. რაც ბავშვი წაიყვანე შენ, მერე ქმარი არც მინახავს".

მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, მინიატურებიდან ყურადღებას იპყრობს „ვენერას პირველი ნაბიჯი". სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის ვენერას ქანდაკება მარმარილოდან გამოჰკვეთა მოქანდაკემ. იგი ცოცხალს დაამსგავსა ხელოვანმა. იმდენად იყო წაშლილი ზღვარი რეალურ სინამდვილესა და ხელოვნებას შორის, იმდენად ხორცშესხმულ არსებად წარმოუდგა მოქანდაკეს ვენერა, რომ ეჭვი შეეპარა მის არარეალობაში და მთელი არსებით შეიყვარა იგი. „შეუყვარდა მას დიდი, ღრმა თვალები, ძლიერ ღრმა თვალები, რომლებიც ალერსით უფრო სავსე არიან, ვიდრე ამბორი ანგელოზისა; შეუყვარდა მას ფერმკრთალი, ძლიერ ფერმკრთალი ხელები, რომლის თითებში ფრჩხილებად ვარდის ფოთლები ჩამჯდარიყო". მაგრამ ობიექტურმა სინამდვილემ მაინც თავისი გაიტანა, ამ სინამდვილემ ულმობელად დაამსხვრია მოქანდაკის გატაცება და ხორცსხმული არსების ნაცვლად ხელში ჩვეულებრივი სინამდვილე, თავისივე შემოქმედების ნაყოფი, უსულო ქვა შერჩა. „მწარეთ გაეღიმა... ქვა გადააგდო.., სწყინდა მშვენიერი უცნობის მაგიერ ჩვეულებრივი სინამდვილე. თან მადლიერი იყო ამ სინამდვილის იმ წუთებისათვის, როცა იგი ოცნებად გამხდარიყო".

ძველი საქართველოს ფეოდალურ-არისტოკრატიული ყოფა და „რაინდული" ზნე-ჩვეულებები ნიკო ლორთქიფანიძემ სრულყოფილი სახით მოგვცა მოთხრობებში „მრისხანე ბატონი" და „რაინდები".

„მრისხანე ბატონი" ფეოდალური საქართველოს ისტორიულ ქარგაზე იშლება. თუმცა მის პერსონაჟებს ისტორიულად ცნობილი პირები არ წარმოადგენენ, მაგრამ მასში მაინც მძლავრად იგრძნობა ფეოდალური საქართველოს სუნთქვა და ისტორიულად ცნობილი პირების — გაავზნიანებული ფეოდალების საერთო თვისება. მოთხრობის ცენტრალურ გმირს წარმოადგენს მრისხანებითა და სიმკაცრით განთქმული დიდი ფეოდალი — ლევანი. ლევანი განუზომელ სიმკაცრეს იჩენს როგორც თავისი ქვეშევრდომებისა, ისე გარეშე მტრების და ნათესავების მიმართაც-კი.

„რაინდებში" სამთავროებად დანაწილებულ ფეოდალურ საქართველოს ისტორიული სახის მკვეთრი სურათია მოცემული. თემად აღებულია აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებს შორის წარმოებული ბრძოლა. სამეგრელოს მმართველს იმერეთის მეფე ეხმარება, რომელიც თავისი განთქმული ვაჟკაცებით ბრწყინვალე გამარჯვებას მოუპოვებს.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის მოთხრობებს „კერიასთვის" და „ბილიკებიდან ლიანდაგზე". პირველ ნაწარმოებში ასახულია გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ღარიბი გლეხობის ყოფა-ცხოვრება სოფლად. მეორე კი 1905 წლის რევოლუციის ამბებისა და რევოლუციის შემდეგდროინდელ პერიოდის მხატვრულად ასახვას წარმოადგენს.

მოთხრობა „კერიასთვის" მხატვრული სიზუსტით, კონკრეტულ-კოლორიტულ ფერებში გვიჩვენებს გლეხობის საყოფაცხოვრებო პირობებს კაპიტალიზმის შემოჭრის პერიოდში. მოთხრობის წამყვან სიუჟეტურ ხაზს წარმოადგენს ბრძოლა საკუთარი ოჯახური კერის მოწყობისათვის.

მოთხრობა „ბილიკებიდან ლიანდაგზე", როგორც უკვე ვთქვით, 1905 წლის რევოლუციის მხატვრული წარმოსახვაა. მაგრამ ავტორი დიდ სიძუნწეს იჩენს მუშათა რევოლუციური მასების ფართო მოძრაობის ასახვაში და ამიტომ 1905 წლის რევოლუცია ძალზე სქემატიურად და უპათოსოდ არის მოცემული. მოთხრობაში არა სჩანან რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალები. მწერლის შემოქმედების ძირითადი დამახასიათებელი თვისება — მინიმალური ლაკონიზმი — ამ ფართო მასობრივი მოძრაობის ასახვისათვის ეფექტიური არ გამოვიდა.

მიუხედავად ამ დიდი ნაკლისა, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „ბილიკებიდან ლიანდაგზე" მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები 1905 წლის რევოლუციის თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის.

ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, დიდი პოეტური გზნების, მაღალ მხატვრული სიტყვის, შემოქმედებითი ორიგინალობის და ფართო დიაპაზონის მწერალია. იგი დიდის მზრუნველობით ეკიდება როგორც დასამუშავებელ ობიექტს, ისე სიტყვიერ მასალას. ქართული სიტყვის მდიდარი ბუნება და ძალა მთელი სიმძაფრით იგრძნობა მის ნაწერებში. სინტაქსური გამართულობისა და მართლწერის მხრივაც უზადოა მისი ნაწარმოებები. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე მწერლის ესთეტიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომელიც თითქმის ყოველ მის ნაწარმოებშია გატარებული.

ჩემი წიგნის გმირებს

სოლომონ თავაძე

საგაზაფხულოდ გავშალე აფრა,
თითქო ზღვა მარხევს, ტრფობით მზირალი;
ჯერ არ მოსულან მერცხლები, მაგრამ
სხივს მოაქვს მათი ფრთების შრიალი.

მზეს ავასწარ და ლაჟვარდის ღიმილს
გავეამბორე, ვით დედის ალერსს.
თითქო მკრთოლვარე სივრცეში ღვივის,
რაც უღიმნია მშობლიურ თვალებს.

სალამი ცაო, გუმბათო მთების,
დილის შუქივით მეც წუთის წვა ვარ;
მაინც მგონია, რომ სწრაფვა ჩემი
შერჩება მარად შენს წმინდა ჯავარს.

აი, ჯერ როგორც მტრედის ღუღუნი
მოდის, მოარხევს ქალაქის სარკველს,
მერმე ხმას ასწევს და მძლავრ გუგუნით
ყველა უბანში შეაღებს სარკმელს.

მეც გულისჩქროლვით გავჰყევ მის ძახილს —
საყვირს, სიყრმის მწველ ჰანგების ზვირთებს;
მეგებებოდა ქუჩა, ვით ბაღი,
ეშხით მაპყრობდა თვალღია კვირტებს.

გამოვეშურე, ბიჭებო, თქვენთან
ქარხნის ჭიშკართან ვდგევარ და გიმზერთ...
ვთქვი თუ ვერა ვთქვი, რაც უნდა მეთქვა?
გიმზერთ და ვფიქრობ ჩემს ახალ წიგნზე.

იქნება თქვენმა თვალების სხივმა
ჩამოკრას წკირა გრძნობათა წვდომას,
გულს რომ გაება მთრთოლვარე სიმად
და გზნებით უმღერს შემოქმედ შრომას.

გიმზერთ. იჩქარით... ალი ალს ჰკაფავს,
ცეცხლის გუგუნი დგება ჰაერში;
სიმღერასავით მესმის, რომ ჯაფა
სიყვარულია უზენაესი.

ნეტავი მომცა თქვენი სადარი
ფერთა ნათელი, სხივმომცინარი,
რომ ავამზეო თქვენში რაც არის
აწმყოს, მომავლის შუქად მჩინარი!

ნეტავი მომცა ისეთი ქნარი,
თქვენებრ წრთობილი სიმები ებას,
რომ ჩემი წიგნის ყოველი ბწკარი
ემსგავსოს თქვენი თვალების გზნებას!

ვდგევარ. ყურს გიგდებთ... ვით ზეცის კრთომა
ცეცხლის გუგუნი ადის ჰაერში;
სიმღერასავით მესმის, რომ შრომა
სიყვარულია უზენაესი.

გაზაფხულის სიმღერა

ალექო შენგელია

ჯეჯილის ლურჯი მოღელავს ტალღა,
ქარს გაზაფხულის სურნელი მოაქვს.
მშვიდობით!
მივალ, —
ღრუბლების მაღლა
ხეტიალის და ოცნების დროა.
ტანში მიჩქროლავს მზე და აპრილი,
ეს ლექსი მაინც უფრო მეტია.
იქნებ თქვენც მისცეთ მცირე ადგილი,
არ იქნა,
გულში არ ჩამეტია...
ყვავილი მინდა დამათრობელი,
მაგრამ რომელი?
მაგრამ რამდენი?
იქნებ სანატრელს ვისმეს მოველი,
რამ დასძრა ტანში ეს ქრუანტელი!..
არ ვიცი, ამ გულს რა აფრთხიალებს,
რა გატაცება და რა იმედი.
ცაზე დაბრძანდა ლამაზი მთვარე...
მეც თუ ვარსკვლავად ვიციმციმებდი!..
გაზაფხულს, ნათელს და იმედიანს,
ჩემთვის მარადის მოაქვს ახალი, —
რაც სიყვარულზე უფრო მეტია,
და სიყვარულის ჰქვია სახელი...
ჯეჯილის ლურჯი მოღელავს ტალღა,
ქარს გაზაფხულის სურნელი მოაქვს.
მშვიდობით!
მივალ, —
ღრუბლების მაღლა
ხეტიალის და ოცნების დროა.

ნახტომი ღამეში

კოტე ხიმშიაშვილი

ზურაბ ლესელიძეს აქამდე კარგად ახსოვდა ზაფხულის ის კვირა დღე, როდესაც პირველად გადმოხტა პარაშუტით. საღამოხანს, პარკში სეირნობის დროს, საპარაშუტო კოშკზე ავიდა სხვა სტუდენტებთან ერთად.

კოშკის ვიწრო ტანი მხოლოდ ფიცრული კიბეებისაგან შესდგებოდა და მოფარაღებულ კედლებში კარგად მოსჩანდა, თუ როგორ ასცილდა პარკის უმაღლესი ხეების კენწეროებს, მახლობელი ქუჩების მრავალსართულიან შენობათა წითელ სახურავებს და როგორ გადახედა მაღლიდან უკვე მთელ ქალაქს.

კიბეები ჭრიალებდნენ, კოშკი თითქო ირწეოდა და თავბრუს ჰგვრიდა.

სანამ ზურაბი მწვერვალს მიაღწევდა, ამ დაუსრულებელმა კიბეებმა და ამხანაგების ქაქანმა დაღალა — სტუდენტებს გზაზე, უთუოდ თავის გასამხნევებლად ხმამაღალი მასლაათი აუტყდათ. ბოლოს, როცა ზევით მოექცა და რკინის კაუჭიანი თასმებით იღლიებში პარაშუტის მიმაგრება დაუწყეს, შენიშნა, რომ დაღლილობისაგან თუ სხვა მიზეზით, მკერდი გამალებითა და ხრიალით უტოკავდა, როგორც დასარეკად გამზადებული, ძველებური კედლის საათი.

მას კარგად არ ახსოვდა, ან იქნებ არ უნდოდა გაეხსენებინა, თითონ გადმოხტა კოშკიდან თუ შეყოყმანებულს მაგრა ჰკრეს ზურგში ხელი. ერთ წუთს საოცრად დაპატარავებული და შორეული მოეჩვენა ქვევით, აგურის ნამტვრევებით მოფენილ ბილიკებზე მოსეირნე ხალხი. შემდეგ თვალები დახუჭა და იმ წამსვე იგრძნო, რომ მხრებში ვიღაც შეუჯდა და ჰაერში უძრავად დაეკიდა. თვალები გაახილა, მაღლა გაჭიმული, ვეებერთელა ქოლგის შემჩნევა მოასწრო მხოლოდ და დაეშვა კიდეც „სამ წერტილზე", როგორც პარაშუტისტები ამბობენ. ამ ტერმინს ჩვენ მხოლოდ ის უნდა დავუმატოთ, რომ საჭირო გახდა უკან შარვლის გაბერტყვა, რაკი მაინცადამაინც წითელი აგურის ფხვნილზე „მესამე წერტილით" დაეშვა.

მაგრამ ეს პირველი ნახტომი იყო. შემდეგ გაჩნდა აზარტი, დაუცხრომელი სურვილი დიდი სიმაღლიდან ხტომისა, როცა თვალები გეხუჭება უნებურად, სწრაფი ქროლვისგან ჰაერს ყურებში შხუილი გააქვს და მკერდი გევსება, სუნთქვა გეკვრება—პირიქით. მალე კომკავშირის ორგანიზაციამ ზურაბ ლესელიძე საპარაშუტო სკოლაში გაგზავნა.

მეორე, განსაკუთრებით მოსაგონარი დღე ზურაბის ცხოვრებაში თვითმფრინავიდან პირველი სასწავლო გადმოხტომა გახლდათ.

საპარაშუტო სკოლაში ახალგაზრდა ქალი ჰყავდათ ინსტრუქტორად. ასეთ ქალს ქუჩაში ყოველთვის მოუხედავენ და თვალს გააყოლებენ. იმიტომ კი არა, რომ მკერდზე პარაშუტიზმის ოსტატის ნიშანი აქვს. სხვა, უფრო ჩვეულებრივი მიზეზით. მას თითქოს ცისფერი ჰქონდა თვალები, მაგრამ როცა საპარაშუტო, ცისფერ კომბინეზონს ჩაიცვამდა, დარწმუნდებოდი, რომ სცდებოდი. რაღაც უცნაური, უცნობი, უსახელო ფერი დაჰკრავდა მის თვალებს. იქნებ ფირუზის? არა, შეგირდი პარაშუტისტი ასე ადვილად ვერ გაიგებდა ოსტატის ყოველგვარ საიდუმლოებას.

ზოგი ქალი ბევრ მამაკაცზე გულადია, გონებაგამჭრიახი და გამძლე, მაგრამ,—ცოდვა გამხელილი სჯობს,—ზურაბისთვის რომ გეკითხათ — შარვალი ყველა ქალს არ უხდება. ამ ახალგაზრდა ინსტრუქტორს-კი საპარაშუტო კომბინეზონში ისეთი ნატიფი და ჩაუქი ტანი მოუჩანდა, თვრამეტი წლის ჭაბუკი გეგონებოდათ.

მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონდათ შეგირდებს თავიანთი ოსტატისა,—უსაშველო დამცინავი ღიმილი იცოდა დალოცვილმა, ცაში სანავარდოდ გამზადებულ ყმაწვილებს თავგის სოროს მონატრებდა. განსაკუთრებით სძულდა მეცადინეობის დროს ოხუნჯობა და სასაცილო შენიშვნები, ბიჭები ხომ ლამაზი ქალიშვილის გასაგონად მუდამ ჭკუამახვილობას ცდილობენ.

— ამხანაგო, — მიმართავდა საკუთარი ხუმრობით სახეგაცინებულ ჭაბუკს, — შესწყვიტეთ სიცილი, გესმით?!

ენამოსწრებული ჭაბუკი ამაოდ ცდილობდა კბილების დამალვას, ხოლო ინსტრუქტორი ისეთი დამცინავი ღიმილით გადახედავდა, რომ, სულ ცოტა, ერთი კვირით მაინც დაუკარგავდა სიცილის ლაზათსა და შნოს.

ერთხელ, სულ მოულოდნელად, სწორედ იმ დღეს, როცა პირველად აფრინდა სასწავლო ნახტომისათვის, ზურაბსაც ერგო მისი დამცინავი ღიმილი. ის იყო ზურაბი უკვე თვითმფრინავის ფრთაზე გადავიდა და მოემზადა, რომ უეცრად დაყოვნდა და ინსტრუქტორს შეხედა. შეხედა მხოლოდ იმისათვის, რათა გაეგო — გადახტომის დრო იყო თუ არა. მას აქამდე ღრმად სწამდა, რომ სხვა მიზეზით არ დაყოვნებულა, თუმცა გადახტომის ნიშანი ჯერ კიდევ კაბინში მჯდომმა მიიღო, რამდენიმე წუთის წინ.

პროპელერის გრიალს დროდადრო თითქმის სწყვეტდა ქარის შხუილი. ჰაერის კვეთით გაჩენილი ტალღისებური ვიბრაცია თვითმფრინავს შესამჩნევად ათრთოლებდა და ფრთებზე შემდგარი ადამიანის დაძაბულ სხეულშიც უნებურად გადადიოდა ეს მოძრაობა, როგორც დარხეული სიმების ჟღერა გადადის ხოლმე ხელის თითებში.

იმ წუთს, როცა პარაშუტისტს ხელი უნდა ეკრა თვითმფრინავის ბორტისათვის, ძალით მოსწყდომოდა დასაყრდენს და ქვევით გადაშვებულიყო, მან ინსტრუქტორის თვალებში კარგად ნაცნობი, დამცინავი ღიმილი დაიჭირა. ქალს უთუოდ ეგონა, რომ ბიჭი შეკრთა, შეშინდა, რადგან მიწა, მტრედისფერ ბურუსში გახვეული, ძალიან შორს იყო, მაღლიდან სახლები პატარა სათამაშოებსა ჰგვანდნენ, შარაგზები — ლოკოკინის ნაკვალევს.

ზურაბს მწარედ ეტკინა გული, მიხვდა, რომ მშიშარად ჩასთვალეს. თავი შეურაცყოფილად იგრძნო და მზად იყო თუნდ უპარაშუტოდ გადამხტარიყო აქედან.

მაგრამ გავიდა დრო და გაახსენდა, რომ დღევანდელი, უფრო სწორად, ამაღამდელი რთული ამოცანის შესრულება სკოლამ ინსტრუქტორსა და ზურაბს ერთად დაავალა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ლესელიძე გაბედული, ტექნიკას საუცხოვოდ დაუფლებული პარაშუტისტი დადგა.

ზურაბისთვის ეს პირველი გაფრენა იყო ღამით. როცა აეროდრომს მოსწყდნენ, იგი ჯერ ამოცანის შესრულებაზე ფიქრობდა.

თვითმფრინავი რამდენიმე კილომეტრით დააცილებდა პარაშუტისტებს ამ ადგილიდან, შემდეგ ისინი ათასი მეტრის სიმაღლიდან გადმოხტებოდნენ. უნდა ცდილიყვნენ, ისე გამოჰყოლოდნენ ჰაერის მოძრაობას, რომ ისევ აეროდრომზე, წითელი სინათლეებით აღნიშნულ პატარა მოედანზე დაშვებულიყვნენ.

მოკლედ ითქმის, მაგრამ საკმაოდ რთული ამბავია. ჰაერის მოძრაობა ხშირად იცვლება, ხოლო მის საწინააღმდეგოდ პარაშუტისტს თოკების დაჭიმვისა და მიშვების მეტი არაფერი ძალუძს. ღამით ორიენტირება ძნელია, საგანგებოდ განსაზღვრულ პატარა მოედანზე დაშვებას-კი დიდი მოხერხება უნდა.

ბნელი ღამე იყო. ცაზე მხოლოდ აქა-იქ კიაფობდნენ ვარსკვლავები. დროდადრო დაუქროლავდა ქარი, მოტორის გრიალს ჩაახშობდა და წაიღებდა სადღაც შორს, შორს... სადმე, დაძინებულ სოფელში, მიიტანდა, საკვამურ მილებსა და ხის კენწეროებზე გადაატარებდა, ძაღლებს ააყეფებდა. მსუბუქი თვითმფრინავი შეტოკდებოდა ქარის დაჯახებისაგან, პროპელერი უმატებდა გრგვინვას.

ქარიან ამინდში პარაშუტით არა ხტებიან, რადგან ქარმა შეიძლება ასეულ კილომეტრზე წაგიღოს, მაგრამ ჰაერის ზედაფენებში წყნარ ამინდშიც შეგვხვდებათ ცალკეული ნაკადები.

თანდათან თავი მიანება ზურაბმა ამოცანაზე ფიქრს და სმენად და ცქერად გადაიქცა.

პროპელერის მონოტონურ ხმაურში და ქარის ზუზუნში იგი უამრავ ნიუანსს ამჩნევდა. წამის ერთმეასედხანს ჩაახველებდა მოტორი და ისევ განაგრძობდა რიტმიულ, ზომიერ სუნთქვას; ქარი მოჰყვებოდა სტვენას თვითმფრინავის თვლებში, ლითონის ხიდებშუა.

ადამიანი ხმელეთის ცხოველია და რაგინდ გატაცებით უყვარდეს ზღვა ან ღრუბლები, ერთხელ მაინც შეკრთება უცხო სტიქიის წინ. ვის არ შეუნიშნავს ჩვილი ბავშვის წამიერი ძრწოლა, როცა ჰაერში შეისვრი სალაღობოდ. დაიჭერ მკლავებში და იცინის, უხარია, ისევ სურს მაღლა ავარდნა, მაგრამ ქვევითკენ წამოსული კვლავ კრთის, ხელები ეკუშება. ეს ინსტიქტი, შიში დედამიწისა, რომელიც საშინელი სიძლიერით იზიდავს, უკან იბრუნებს თავის გაკადნიერებულ შვილებს, ხშირად ეუფლება ჰაერში პირველად მოხვედრილ ადამიანს.

ზოგჯერ ცოცხალივით თრთოდა თვითმფრინავი, ქარი თითქოს სუნთქვას უხშობდა, გულის ცემასავით უჩერებდა მოტორს. ჰაერის ორმოში მოხვედრილი მანქანა წამით ქვასავით ეშვებოდა ძირს და მაშინ მკერდში რაღაც ჩაგწყდებოდა, ფეხის კუნთები დაიძაბებოდნენ გამძვინვარებული დედამიწის შესახვედრად. გული გაუსწრებდა თვითმფრინავს და იწყებდა ვარდნას დაუსრულებლივ.

სიბნელეში გვერდით თითქოს უხილავი, უზარმაზარი შავი ფრინველი მოფრინავდა ფრთების ფართხუნით. უთუოდ სურდა ფრთების მძლავრი დარტყმით გადაებრუნებინა თეთრი მანქანა და ადამიანები უკუნეთში გადაეყარა.

ზურაბმა გაიფიქრა, რომ ყოველივე ეს „ატავისტური გრძნობა" იყო. პირველად ფრინავდა ღამით, ოდნავ ღელავდა კიდეც და, ალბათ, მიტომ მოსდიოდა თავში ყოველგვარი სისულელე.

მან ქვევითკენ გადიხედა. მიწაზე აქა-იქ სინათლეები ბჟუტავდნენ. ზევით, ცაშიც, ორიოდე შორ-შორს გაფანტული ვარსკვლავი კიაფობდა. ზურაბს მოაგონდა ერთი, ძველი მფრინავის ნაამბობი: მკვდარი მარყუჟი რომ გაეკეთებინა ახლა მათ თვითმფრინავს, ადვილად დაჰკარგავდი გეზს, ველარ გაიგებდი, სად იქნებოდა ცა და სად—დედამიწა, რადგან ირგვლივ, სიბნელეში, ერთნაირი ძალით ბჟუტავდნენ ზევით მნათობები და ქვევით ნათურები.

ისევ შხუილით მიაპობდა ჰაერს თვითმფრინავი. ღამით ვერ შენიშნავ, თუ როგორ გარბიან ქვევით, დაპირქავებული ჯამივით ამოზნექილ მიწაზე, გორაკები, სახლები, მდინარეები. რაც უფრო სწრაფად მიჰქრის თვითმფრინავი, მით უფრო გეჩვენება, ვითომ ერთ ადგილზე ფარფატებს. უხილავ, გამჭვირვალე კედელს ზუზუნით ეხეთქება, როგორც ფანჯრის მინას კრაზანა.

ტყუილია, თითქოს ადამიანს შეეძლოს განსაცდელის წინ სრული სიმშვიდე, თითქოს არსებობდნენ ისეთი მამაცები, რომელთაც აბსოლუტურად არ იციან რა არის შიში. ნებისყოფაზეა დამოკიდებული ყოველივე. ზოგს შეუძლიან დაიმორჩილოს თავი, გარეგნულად გულგრილი და აუღელვებ-

(დასასრული მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება მ. ი. ლერმონტოვის იუბილესათვის

ლერმონტოვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლერმონტოვის საიუბილეო დღეებისათვის სცემს უნივერსიტეტის მეცნიერმუშაკთა, ასპირანტთა და სტუდენტთა მეცნიერული შრომების კრებულს.

კრებულში მოთავსებული იქნება: პროფ. ილინსკის „ლერმონტოვის თხზულებათა პირველი გამოცემა“, დოც. ა. ნიკოლაძის „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“, პროფ. ს. დანელიას „მწირის“ შემოქმედებითი ისტორია“, ა. ჭეიშვილის „ჩვენი დროის გმირის“ ცენტრალური სახე“, ასპირანტების: ლ. დეისაძის „საქართველო ლერმონტოვის პოეზიაში“, როზინის „ლერმონტოვი და სამღვდელოება“, პრილიპკოს „დეკაბრისტები და ლერმონტოვი“. ბაისაგუროვის „დემონის იდეა“ და სტუდენტ ი. შენგელაიას „ლერმონტოვის გერმანული თარგმანები“ და სხვ.

წიგნი გამოვა ლერმონტოვის საიუბილეო დღეებში.

სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიდი რუსი პოეტის ლერმონტოვის საიუბილეო ზეიმებისათვის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კარგა ხანია ემზადება.

უნივერსიტეტში მ. ი. ლერმონტოვის იუბილეს აღსანიშნავად მიმდინარე სამოსწავლო წლის დამთავრებამდე მოეწყობა ფილოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, რომელიც სამ დღეს გასტანს და რომელზედაც მოსმენილი იქნება 15 მოხსენება ლერმონტოვის შემოქმედებისა და ეპოქის გარშემო.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოაწყობს დიდ გამოფენას. გამოფენილი იქნება ლერმონტოვის ნაწარმოებთა გამოცემები, თარგმანები ქართულ და სხვა ენებზე, ფოტო-სურათები, კრიტიკული წერილები, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალა და სხვ.

უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებში უკვე დაიწყო ლერმონტოვის გარშემო არსებული მასალის შესწავლა, დამუშავება და მოხსენებების კითხვა.

სასწავლო წლის დამლევამდე უნივერსიტეტში მოეწყობა დიდი საზეიმო საღამო, რომელზედაც მოსმენილი იქნება რამდენიმე მოხსენება. უნივერსიტეტის ძალებითვე გაიმართება დიდი საკონცერტო განყოფილება. გარდა ამისა, უნივერსიტეტი დახმარებას გაუწევს საშუალო სკოლებს ლერმონტოვისადმი მიძღვნილი დილა-საღამოების ჩატარებაში.

ხატოვანი სიტყვები და ხატოვანი თქმები

7 აპრილს მწერალთა სასახლეში, პროზაიკოსთა სექციის საჯარო სხდომაზე, მწერალმა **თედო სახოკიამ** წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქართულ ხატოვან სიტყვათა და ხატოვან თქმათა შესახებ“.

თემა იმდენად საინტერესო ფაქტიურ მასალას შეიცავდა და იმდენად კარგად იყო დამუშავებული, რომ დამსწრე საზოგადოებამ მოხსენება, რომელიც 2 საათს გაგრძელდა, დიდის გულისხმიერებით მოისმინა.

წაკითხული მოხსენება ერთი ნაწილია იმ დიდი შრომისა, რომელიც თედო სახოკიას დაუმზადებია და რომელიც ცალკე წიგნად გამოვა. ეს შრომა ქართულ ხატოვან სიტყვათა და ხატოვან თქმათა ლექსიკონს წარმოადგენს და, ავტორის განცხადებით, 7.000 ხატოვან სიტყვასა და თქმას შეიცავს. ყოველ ხატოვან სიტყვასა და თქმას ავტორი განმარტავს ჯერ თავისი პირდაპირი და შემდეგ გადატანით-ფიგურალური მნიშვნელობით. იმავე დროს შრომაში მოცემულია ამა თუ იმ ხატოვანი სიტყვის და ხატოვანი თქმის წარმოშობის პირობები. დროთა განმავლობაში ზოგმა ხატოვანმა სიტყვამ და თქმამ შეინარჩუნა თავისი ფიგურალური მნიშვნელობა, ზოგი-კი მოძველდა და თანამედროვეობისათვის გაუგებარი გახდა. ავიღოთ მაგალითისათვის სიტყვა „ქუდმოხდილი“. ამ სიტყვის მნიშვნელობა დღეს ის არის, მხოლოდ, რომ კაცი უქუდოდ არის, რომ მას ქუდი მოუხდია. მაგრამ წარსულში „ქუდმოხდილი“ ნიშნავდა შეურაცხყოფილს, პატივაყრილს, კაცობა-შერცხვენილს. ხშირად მოსამართლე დამნაშავეს უქუდოდ სიარულს მიუსჯიდა, რაც დამნაშავისათვის დიდი შეურაცხყოფა, პატივაყრა და შერცხვენა იყო.

არიან ძველ დროიდან მომდინარე ხატოვანი სიტყვები და თქმები, რომელთაც ჩვენს დროშიაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ასეთია, მაგალითად, ხატოვანი თქმა „ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“. როგორც თედო სახოკია განმარტავს, ეს თქმა ნიშნავს: ვერას დამაკლებ, ყურებს ვერ დამაჭრიო. ეს თქმა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ხატოვანი თქმა და სიტყვა, წარმოშვეს ჩვენი ხალხის ისტორიულმა პირობებმა. ძველად მონებს და ტყვეებს ხშირად სჯიდნენ ყურების დაჭრით. სისხლის დენა რომ შეეჩერებინათ, ჭრილობაზე ხახვს აჭრიდნენ, ე. ი. ადებდნენ, როგორც მალამოს. აი, აქედან მოდის, ხახვი არ დამაჭრაო.

თედო სახოკიამ მრავალი ასეთი ხატოვანი სიტყვა და თქმა განმარტა.

მომხსენებელმა განმარტა აგრეთვე სხვაგვარი გამოთქმები, ისეთი, მაგალითად, როგორიც არის თითზე იკბინა, სიტყვა ბანზე შეაგდო და სხვა.

თედო სახოკიას ნაშრომი თავისი ხასიათით პირველია საქართველოში და, როგორც ავტორმა განაცხადა, იგი 50 წლის შრომის ნაყოფს წარმოადგენს.

მოხსენების ირგვლივ ილაპარაკეს მწერლებმა ლეო ქიაჩელმა, ი. ტატიშვილმა, ი. მჭედლიშვილმა და სხვებმა. მათ ერთხმად აღიარეს თედო სახოკიას შრომის დიდი მნიშვნელობა. მათის აზრით, ეს შრომა მეცნიერებისათვის დიდ მასალას წარმოადგენს. განსაკუთრებით დიდი შენაძენია იგი ქართული ლიტერატურისათვის.



ჩაის მკრეფავი.

მხატ. კიკნაძე

ქართული საბჭოთა პოეზიის საღამო გორში

შაბათს, 12 აპრილს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინსტიტუტის კლუბში აწყობს ქართული საბჭოთა პოეზიის დიდ საღამოს. საღამოში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან პოეტები გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალიო მაშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, ირაკლი აბაშიძე.

მოხსენებას ქართულ საბჭოთა პოეზიის შესახებ წაიკითხავს დ. წულუკიძე. მიწვეული პოეტების შესახებ სიტყვებით გამოვლენ ინსტიტუტის ლექტორები და სტუდენტები.

დასასრულ საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ მიპატიჟებული პოეტები და ინსტიტუტის სტუდენტები.

ირანული დაზგური მხატვრობა

კულტურისა და ხელოვნების ისტორიის მუზეუმში, მეტეხში, ინახება მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ირანული დაზგური მხატვრობის საუცხოო კოლექცია. ეს კოლექცია ზემოხსენებული ირანული ხელოვნების განვითარების საუკეთესო სურათს იძლევა. სწორედ ამ მასალისა და ერმიტაჟის განკარგულებაში არსებული კოლექციის მიხედვით მეტეხის მუზეუმმა, სახელმწიფო ერმიტაჟის ასსამოცდახუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით, გამოსცა შ. ამირანაშვილის წიგნი: „ირანული დაზგური მხატვრობა“.

როგორც წიგნის შესავალშია აღნიშნული, დროთა განმავლობაში ირანული მხატვრობის ნიმუშები დამახინჯებულან, რის გამოც ნახატების თავდაპირველი სახის აღსადგენად დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული.

წიგნი შეიცავს „შესავალს“, „ძეგლების აღწერას“, „მხატვრულ-ისტორიულ ანალიზს“, სადაც დაწვრილებით არის გარჩეული სურათის წარმოშობა, მხატვრობის განვითარება, სხვადასხვა მიმდინარეობათა გავლენა მასზე, „ტექსტის შენიშვნებს“ და ტაბულებს. წიგნში მოთავსებულია 35 რეპროდუქცია, რომელთაგან 1—25 რეპროდუქცია მეტეხის მუზეუმის ფონდიდან არის აღებული და დაიბეჭდა სხვადასხვა ფერად მოსკოვში, ხოლო 26—35 ტაბულა ერმიტაჟის ფონდიდანაა და ერთფერად არის დაბეჭდილი თბილისში.

წიგნი დიდი ზომისაა, საუცხოვოდ არის გამოცემული, დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქაღალდზე, შეიცავს 34+XXXV გვერდს და ღირს 75 მანეთად.

ნ ა ხ ტ ო მ ი ღ ა მ ე შ ი

(დასასრული)

ლი დარჩეს. სამაგიეროდ მაშინ გონება უკიდურეს დაძაბულობას განიცდის. ზურაბმა ყოველივე კარგად გაითვალისწინა. მან იცოდა, რომ წარბშეუხრელად, ზუსტი და თავდაჯერებული მოძრაობით მოსწყდება თვითმფრინავს, გადაეშვება ღამის სიბნელეში, ასეულ მეტრს ქვასავით გაიქრიალებს და მხოლოდ შემდეგ გაშლის პარაშუტს.

იგი გაიმარჯვებს.

მაგრამ, მაინც...

მანქანაში, მფრინავსა და ზურაბს შუა, ინსტრუქტორი იჯდა. ერთი წელიწადია უკვე, რაც ზურაბი ამ გოგონას იცნობს. გოგონას, მხოლოდ ფიქრით, თავისთვის თუ ეძახის გოგონას.

აი, ახლა, მისი ნიშნის შემდეგ უშიშრად გადახტება ღამეში. ისე კი, აქამდე ვერ გაუბედავს, რომ ერთი, მხოლოდ მისთვის შენახული სიტყვა უთხრას...

პროპელერი გრიალით მიაპობდა ჰაერს. ალუმინის ფრთები ოდნავ ირხეოდნენ ქარის ტალღებზე.

ბიჭს გულისცემამ უმატა. მან სიბნელეში გაიღიმა თავისთვის. იქნებ ეს გრძნობაც „ატავისტური“ იყო? იგი წინ მჯდომის მხარს შეეხო. ქალმა მიიხედა, ტყავის ჩაფხუტი ეხურა და სათვალეები ეკეთა. მხოლოდ ტუჩებისა და ნიკაპის გარჩევა შეიძლებოდა სიბნელეში.

ბიჭმა წამოიწია, პირთან ხელი მიიფარა და ხმამაღლა დაიყვირა, რათა მოტორის გრიალი დაეძლია:

— მე თქვენთვის რაღაც მინდოდა მეთქვა...

ქალმა თავი დაუქნია — მესმისო.

ბიჭი შესდგა, ასე გამალებით მაშინაც არ უცემდა გული, როცა მისაზმელი პარაშუტით ხტებოდა პარკში, ოცმეტრიან კოშკიდან.

ქალმა შეხედა და ისე მიიბრუნა თავი, რომ ყური ახლო ჰქონოდა მოლაპარაკის პირთან.

— თქვენ... — დაიწყო ბიჭმა, მაგრამ არც თუ ისე ხმამაღლა. რომ პროპელერი გაეყრუებია, — თქვენ... — მოუმატა ხმას და სწორედ ამ დროს თვითმფრინავი მოულოდნელად, შხუილით ჩაეშვა ქვევით, რამდენიმე მეტრზე — ჰაერის ორმო შეხვდა უთუოდ.

ბიჭი შერყევისაგან ჩაჯდა და ღრმად ამოისუნთქა. ქალმა მიიხედა. უნდოდა გაეგო, რა ჰქონდა სათქმელი პარაშუტისტს გადახტომის წინ.

— მე თქვენ... — ისე ხმამაღლა დაიყვირა ბიჭმა, რომ ცოტახნით ხმაც ჩაუწყდა.

„რა სისულელეა, — ღიმილით გაიფიქრა თავისთვის, — ამ ათას მეტრზე, პროპელერის გრიალში სიყვარულის ახსნა“...

გაიფიქრა და ისევ დაიხარა ქალისაკენ.

— მე თქვენთვის მინდოდა მეთქვა, რომ....

ქარის ტალღა ზუზუნით დაეჯახა თვითმფრინავს და შეატორტმანა. სიტყვები შთანთქა მოტორის ღრიალმა.

აქ ზარბაზნის სროლაც ვერ მიაღწევდა კაცის სმენამდე.

მაშინ ბიჭმა, თითქმის დარწმუნებულმა, რომ ქალი ვერაფერს გაიგონებდა, მაინც დაიყვირა, უთუოდ ქარის გასატანებლად:

— მე შენ მიყვარხარ, გესმის? მიყვარხარ, მიყვარხარ!

წინ პილოტმა მკლავი გაშალა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ გადახტომის დრო მოვიდა.

როცა პარაშუტისტებს ეკითხებით, რას განიცდიდნენ, ან რას ფიქრობდნენ ისინი ვარდნის დროს, ძნელად თუ მიიღებთ გარკვეულ პასუხს.

— რას ვფიქრობდი? მიწაზე კარგად დაშვებას. რას ვგრძნობდი? ვერ გეტყვით, არ მახსოვს. სად მეცალა გრძნობებისათვის!

მთელი საათი გაგრძელდა ჰაერთან ბრძოლა. ღამეში ისინი ვერა ხედავდნენ ერთმანეთს, საერთოდ ვერაფერს ხედავდნენ, გარდა წითელი, სანიშნო სინათლეებისა.

ეს ურთულესი ამოცანა იყო. ჰაერის ნაკადი საშუალებას არ აძლევდათ ზუსტად განსაზღვრულ, მცირე ფართობის მოედანზე დაშვებულიყვნენ. საჭირო იყო სხეულის ოდნავი მოძრაობის, თოკების შერხევის მილიმეტრობით გამოანგარიშება. როგორც მღელვარე ზღვას ართმევს ხოლმე ცალკეულ მეტრს მცურავი, შეუმჩნევლად, მაგრამ დაჟინებით უახლოვდება ნაპირს, ისე სძლევდნენ პარაშუტისტები ჰაერის ტალღებს. ეს ტალღები განუწყვეტლივ ცდილობდნენ ვეებერთელა, თეთრი ქოლგები თავიანთ ნებაზე აეთამაშებინათ.

განსაკუთრებით მხრებსა და მკლავებს ადგებათ ჯაფა: პარაშუტი ხან წყნარად მოგყვება, ვერც გრძნობ მის არსებობას, თუმცა იღლიებითა და ლაჯებით ჰკიდიხარ ზედ. ხან კიდევ გაჯიუტდება, საქანელასავით დაგარწევს, თანდათან მოუმატებს ამპლიტუდას და საათის ქანქარად გადაიქცევა. ზოგჯერ ისე დიდია რხევა, რომ სხეული ჰორიზონტალურად წევს ჰაერში. გგონია — შენ ზევით ექცევი თავდაყირა, და პარაშუტი ქვევით დაგრჩება.

ხელები გიხურდება, კოჟრები გიჩნდება თოკზე ხახუნით. აბრეშუმის ქსოვილი ფარფატებს, თითქოს ცაში კალთას იბერტყავსო ვიღაც უზარმაზარი. თოკები ჭრიალებენ. შორიდან ისმის ნიავით მოდენილი პროპელერის ზუზუნი.

ამ დროს კარგია სტვენა და სიმღერა თავის გასართობად. თუმცა გამხიარულებისთვის სადა გცხელა. შეგიძლიან იყვირო, რაც ძალი და ღონე გაქვს, ხმამაღლა განაცხადო, რომ ბუნების მეფე ხარ. მსმენელი მაინც არ გეყოლება. ვერ დაგძრახავენ.

ზურაბმა თავისი პარაშუტის გაშლისთანავე დაუწყო თვალთვალი ინსტრუქტორს, მაგრამ ვერსად შენიშნა. ზოგჯერ შორეული, თეთრი ლაქა კი ეჩვენებოდა. თვალი ატყუებდა უთუოდ.

ზევით ჰაერი სუფთაა, გამჭვირვალე. თავისუფლად და სიამოვნებით სუნთქავ. მიწის მოახლოვების პირველი ნიშანი უხილავი მტვრის ბუღია, რომელიც ღამითაც კი ტრიალებს ასიოდე მეტრის სიმაღლეზე.

შემდეგ, წითელი სინათლეები ფორმას მიიღებენ, თანდათან გაიზრდებიან. ახლა საჭიროა მათემატიკური სიზუსტე მოძრაობაში, ხერხი და ღონე, გამძლეობა, რათა მიწის მოახლოვებამ არ დაგაბნიოს და წინასწარ განსაზღვრულ ადგილს ერთი ნაბიჯითაც არ გადასცდე. განსაკუთრებით უნდა უფრთხილდე პარაშუტს, რომელიც ახლა დაბრკოლებად გადაიქცევა, შეეცდება წაგაქციოს, დაგითრიოს და ცხვირით ბალახი გათხრევინოს.

აქამდე შეუმჩნეველი საგნები სიბნელეში, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო უეცრად. საიდანღაც ადამიანებიც გაჩნდნენ.

თეთრი ზოლებით მოვლებული მოედანი. პარაშუტის ჩრდილი წევს ელნათურებით განათებულ მიწაზე.

თითქმის ერთდროულად ახლოვდება მეორე პარაშუტიც.

თოკებზე აწევით შემსუბუქებს ტანს, ფეხის წვერებით ეხები ბალახიან მიწას, იჩოქებ, კუნთებს დაჭიმავ და მთელი ძალღონით შეაჩერებ ეწევი ალმაცერად წამოსულ პარაშუტს.

ხალხი მორბის საშველად. გათავდა ამბავი.

როცა ოსტატმა და შეგირდმა უფროსს უპატაკეს, რომ ამოცანა შესრულებულიაო, მილოცვა მიიღეს. ერთმანეთსაც მიულოცეს და სხვებთან ერთად მხარდამხარ გაემართნენ ავტომანქანისაკენ. ინსტრუქტორმა მკლავში მოჰკიდა ხელი ახალგაზრდა პარაშუტისტს. ისინი ოდნავ ჩამორჩნენ სხვებს და ინსტრუქტორმა ჩურჩულით, მაგრამ ბრძანების კილოთი უთხრა:

— ამხანაგო! მე თქვენ ერთხელ და სამუდამოდ გიკრძალავთ საქმის დროს ინტიმურ საუბარს, გესმით?

ბიჭმა გაოცებით შეხედა.

ქალი იღიმებოდა, მაგრამ ეს ის დამცინავი ღიმილი არ იყო, გუნებას რომ უფუჭებდა ხოლმე ენამახვილ ჭაბუკებს.

მაშინ ბიჭი მიხვდა, რომ ინსტრუქტორს იქ, ჰაერში მაინც გაუგია მისი „ატავისტური გრძნობა“, თუმცა ქარი ჰქროდა და პროპელერი გამაყრუებლად გრგვინავდა.

ვაჟა-ფშაველას უცნობი წერილი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

(ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ)

მადლობის ღირსია ბ-ნი დ. ხიზანიშვილი ფშაური ლექსების შეკრებისათვის. უფრო პატივსაცემია ავტორი იმ მიზნისათვის, რომელსაც ყველა ამგვარი შრომა ემორჩილება. დიდად საჭირო განძია მწერლობისათვის საერო ლიტერატურის ცოდნა. ეს ცოდნა მწერალს აძლევს ჯერ ცნებებს — სიტყვებს და მეორე გააცნობს სულის და გულის მოძრაობას — მის აზრს ცხოვრებისას. ნამეტნავად ფშაური პოეზია თავის სულის გამაღვიძებელი კილოთი, თავისი ძველებური სიტყვების ფორმების და თავისებურ შეხედულებით მსოფლიო ცხოვრებაზე საჭიროა იცოდნენ არა მარტო მწერლებმა, არამედ ყველა ქართველმაც. საკმაოდ დაიბეჭდა ფშაური ლექსები „ივერია“-ში. მკითხველს ამ ლექსების მიხედვით შეუძლიან გაიგოს იერი ფშავლების პოეზიისა. ვსთქვათ ჯერ რამდენიმე სიტყვა საგმირო ლექსებზე. ამ ლექსებში მარტო ის როდია მოსაწონი, რომ გმირი იბრძვის — „სისხლი გადასდის მკლავზედა“, — არა ჩვენ უფრო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რისთვის და ვისთვის იბრძვის იგი? რომელი მოქმედება, თვისება გმირისა უფრო მოსწონს ხალხსა? რაც მოსწონს კაცსა, იგი თვითონ არის ზომა მის ზნე-ჩვეულებისა. ფშაველი-გმირი იცავს თემსა ჯერ ყველაზედ უწინ, მერე საზოგადოდ ფშავის-ხევს და შემდეგ საქართველოსაც. თემის დაცვა-კი უპირველესი გრძნობაა მისი. თავის თემის გულისათვის არ დაზოგავს გასაქლეტად სხვა ფშაურს თემს, თუ-კი რაიმე თავ-ხედობას მოიწადინებს იმ თემის წინააღმდეგ, რომელსაც თვითონ გმირი ეკუთვნის. მაგრამ თუ გარეშე მტერი მოდის საქართველოზე, მაშინ გმირი საქართველოს მტერს ისევე ებრძვის, როგორ თემის მტერს. წაასხეს ლეკებმა ტყვეები, ფშაველი-გმირი მისდევს მტერს, იხსნის ტყვეებს და ჰგზავნის თავ-თავიანთ ოჯახში: „მშვიდობით დანო, გზაზედა“. აი იდეალი გმირისა და ხალხის წარმოდგენით. გმირი ყველასი ძმაა და მანდილოსანნი მისი დებია, — ვინც უნდა იყვნენ იგინი, ოღონდ ქართულის სისხლისანი კი იყვნენ. ასე, გმირობა მხოლოდ ნათესაობისათვის არ არსებობდა ფშავში, იგი იყო საზოგადო, საქართველოს კუთვნილება, — ყველა გაჭირვებულის ქართველის ფარ-ხმალი, თავ-შესაფარი.

„ქალო ნუ სტირი, ქართველო,
გიგლია გიზის გზაზედა,
თუ ლეკებს წაგაყვანინო,
წვერიმც ნუ მსხია ყბაზედა,
შინამც ნუ მივალ ცოცხალი,
სწორნიმც ნუ დამსმენ ჯარზედა“.

ფშაველი გიგლია ამას უბარებს ქართლელს ქალს, რომელიც ლეკებს ტყვედ მოჰყავთ... ქართლელი ქალის ტყვეობიდამ დახსნას ფშაველი-გმირი ვალად იჭდევს კისერზე, ისევე, როგორც ფშაველი ქალისას. მხოლოდ, ერთი რამ უნდა შევნიშნოთ ბ-ნ ხიზანიშვილისაგან შეკრებილს ლექსებს; ბევრი მისგან შეკრებილი ლექსი დამახინჯებულია და ამის გამო ძალა მოკლებული, თუმცა მძლავრი სურათები კი არის აქა-იქ დაფანტული.

ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა-ფშაველას ზემომოყვანილი რეცენზია, რომელიც პირველად ქვეყნდება, დაცულია საქ. სახ. მუზეუმის პალეოგრ. განყ. ფონდში, §-5317. ვაჟამ თავის დროზე ა. წერეთელთან, ი. ჭავჭავაძესთან და სხვებთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ფოლკლორის შეკრება-შესწავლის საქმეში.

ვაჟა თავის მიერ შეკრებილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს აქვეყნებდა „ივერია“-ში, „ძველ საქართველოს“ ტომებში, „სახალხო გაზეთში“ და სხვაგან.

საკმაო რაოდენობა მის მიერ შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშებისა დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში და საქართველოს ლიტერატ. მუზეუმის არქივში.

ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს გარდა, სადაც უხვად არის გამოყენებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ვაჟას კალამს ეკუთვნის საყურადღებო წერილები, სადაც განხილულია მთის და, კერძოდ, ფშავის მდიდარი პოეზიის ნიმუშები.

ქს. სიხარულიძე

ახალი წიგნები

სანდრო ეული—„რჩეული“

„ფედერაციამ“ გამოსცა სანდრო ეულის ნაწერების „რჩეული“ (ერთ ტომად). ის მთლიან წარმოდგენას გვაძლევს პოეტის შემოქმედებითი განვითარების გზების შესახებ (1909 — 1940 წ. წ.).

წიგნი შემდეგ განყოფილებებს შეიცავს: „ბედნიერების სიმღერები“, „მწვერვალებისაკენ“, „ცეცხლის დროშები“, „ბარიკადებზე“, „საბავშვო ლექსები“ და „პოემები“.

„რჩეული“ გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 204 გვერდს და ღირს 17 მან. და 50 კაპ.

ლადო ასათიანის ლექსები

სახელგამმა გამოსცა პოეტ ლადო ასათიანის ლექსების წიგნი. წიგნში დაბეჭდილია ჩვენს ლიტერატურულ პრესაში ავტორის მიერ დღემდე გამოქვეყნებული ორმოცამდე ლექსი.

წიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს 8 მან. და 60 კაპ.

„მნათობი“ № 3

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „მნათობის“ № 3. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: მოწინავე „სტალინური პრემიის პირველი ლაურეატები“; მხატვრულ განყოფილებაში: გალაკტიონ ტაბიძის „პარიზის კომუნა“ (ლექსი), კონსტანტინე გამსახურდიას „მშვენიერება“ (ნოველა), ალექსანდრე ქუთათელის „საირმე“ (ბალადა), გრ. აბაშიძის ათი ლექსი, დავით სულიაშვილის „სემინარიის კედლებში“ (მოთხრობა), ბონდო კეშელავას „მამა და წიგნი“ (ლექსი), ვლ. უბილავას „შემოდგომა“ (ლექსი), უიარაღოს „მაძიებელნი“ (რომანი, მეორე ნაწილი), ლეონიდ პერვომაისკის „უსათაურო ლექსებიდან“ (თარგ. კ. ლორთქიფანიძისა), რობერტ ბერნსის ლექსები (თარგ. ინგლისურიდან გ. ძიგვაშვილისა).

კრიტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია გ. ნატროშვილის „კარლო კალაძის პოეზია“.

ლიტერატურული მემკვიდრეობის განყოფილებაში მოთავსებულია პ. ინგოროყვას „თამარ მეფის იამბიკონნი“.

ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია: ალ. სულავას „ლექსები და სიმღერები ლ. პ. ბერიაზე“, თ. შანშიაშვილის „შილერის ლექსები ქართულად“ (თარგ. ხ. ვარდოშვილისა), ა. შენგელიას „აფხაზური პოეზია“ და გ. მებუკის „რ. გვეტაძის „რჩეული“.

„ჩვენი თაობა № 2

გამოვიდა ჟურნალი „ჩვენი თაობა“ № 2. ჟურნალის მხატვრულ განყოფილებაში მოთავსებულია: ადამ ალვანელის „ღამე თეოზე“ (ლექსი), კარლო კალაძის „კობასთან ერთად“ (ლექსი), გ. ძიგვაშვილის „სიმღერა ამირანზე“ (ლექსი), ვლ. უბილავას „უკანასკნელი ღამე“ (ლექსი), კოტე ხიმშიაშვილის „ჯონქა ხორნაული“ (რომანის დასასრული).

კრიტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია ერ. ასტვაცატუროვის „ლიტერატურული ახალგაზრდობა ოცი წლის მანძილზე“.

ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია გ. მ-ს „მაყვალა მრევლიშვილის „ლექსები“, ვ. ხალიფაშვილის „გ. ჯაბუშანურის „არაგვიანი“, ალ. სიგუას „კ. გოგიავას „ვლადიმერ ნანეიშვილი“.

„ჩვენი თაობა“ № 3

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „ჩვენი თაობას“ № 3. ჟურნალის მხატვრულ ლიტერატურის განყოფილებაში მოთავსებულია ან. არნანის „ჩემი შაშხანა“ (ლექსი), თ. ჯაგულაშვილის „სიმღერა ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებზე“ (ლექსი), ვ. ფხოველის „დაბრუნებული“ (ლექსი), ანდრო ლომიძის „არხი“ (მოთხრობა), გ. ძიგვაშვილის „გრიბოედოვის სამარესთან“ (ლექსი), ბონდო კეშელავას ორი ლექსი, შ. აკობიას „პარტიზანელი“ (ლექსი), ი. მჭედლიშვილის „ოიანა ბუიანა“ (პიესა).

კლასიკური მემკვიდრეობის განყოფილებაში დაბეჭდილია ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“ (თარგ. ინგლისურიდან კ. ჭიჭინაძისა), ბერნარდ დე სენ პიერის „პოლი და ვირჟინი“ (თარგ. ფრანგულიდან ირ. ქავჟარაძისა).

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია: გაბრიელ ჯაბუშანურის „შენიშვნები ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე“ და ნ. გვარაძის „ვასო აბაშიძე“.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 21641